ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 16 – 17 ივნისი, 2018

№141 (7686)

ფასი: 50 თეთრი

სისხლიანი გარჩევა ოზურგეთის საკრებულოში

„ოცნების“ რვა დეპუტატმა ერთ ნაციონალს სცემა

გვ.2

12 ივნისიდან

როს მაკდონალდი

შიში

სერია ნამდვილი

ფასი გაზეთთან ერთად

„რუსეთმა პანკისის წალება გადაწყვიტა“

ვინ შემოუშვა საქართველოში რამზან კადიროვის ხალხი

სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული ჯანონი სახელმწიფო ღალატის შესახებ. ჩვენ დღეს იმის განმარტებაც ჯი არ გვაქვს, თუ რას ნიშნავს სახელმწიფოს ღალატი. აქედან გამომდინარე, როგორ გინდა, აგენტები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები გამოავლინო.

გვ.2

გიორგი ვაშაძე: „კვირიკაშვილი დიდი ხნის გასაშვები იყო“

გვ.3

შალვა შავგულიძე: „მთავარი პროკურორობა ჩემი ცხოვრების დღის წესრიგში არ დგას“

გვ.4

„ევროპული საქართველოს“ მიერ ჩემ წარდგენას ჩემთვის დისკომფორტი არ შეუქმნია“

გაერო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილების საკუთარ სახლ-კარში დაბრუნებას ითხოვს

გვ.4

ოკუპირებულმა აფხაზეთმა 1 აგვისტომდე უცხოელებისთვის უვიზო რეჟიმი შემოიღო

გვ.5

რეგიონში მძიმე სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა შეიქმნა

ეკონომიკა

გვ.6

ქვეყანაში კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი დაბალ მაჩვენებელზეა, თუმცა დიდი პერსპექტივები გააჩნია

სასაკლაოების კონკურენტუნარიანობაზე გავლენას შესაბამისი მოწყობილობის უქონლობა ახდენს

სამაცივრე მეურნეობების 23,1% თვლის, რომ გავლენას კონკურენტუნარიანობაზე შესაბამისი მოწყობილობის უქონლობა ახდენს

2018 წელს პასუხისმგებლობა 116 ექიმს დაეკისრა

ISSN 1987-9385

3 2019 წლიდან თაფლის ხარისხის შემოწმება უცხოეთის ნაცვლად საქართველოში მოხდება

4 „9 მლრდ არის ყალბი ფული, რომელიც ბანკებს აქვთ“

7 ივანიშვილის ხის ტრანსპორტირებისას, ქობულეთის სოფელ მუხაესტატეს პოლიციის უფროსი მოკლეს

3 საქართველოს მოქალაქეებისთვის მონტენეგროში უვიზო მიმოსვლა ამოქმედდა

„რუსეთმა პანკისის წაღება გადაწყვიტა“

შორენა მარსაგიშვილი

15 ივნისს, ხამადანის დღესასწაულზე, პანკისის ხეობაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. მოსაღოდნელი გახითულებების თავიდან აცილების მიზნით შსს-მ ხეობაში სპეცდანიშნულების ჰაზმი შეიყვანა.

ვინ შემოუშვა საქართველოში რამზან კადიროვის ხალხი

ზაალ კასრელიშვილი: „შემდეგი ცხელი წერტილი ქვემო ქართლი იქნება“

ხეობაში სიტუაცია რუსული სანომრე ნიშნებიანი მანქანების გამოჩენას მოჰყვა. მანქანებზე ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურ რამზან კადიროვის მამის, ახმად კადიროვის დიდი სურათი იყო გაკრული. მანქანებში მყოფები ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: „ახმადი ძალაა“.

მოგეხსენებათ, რომ პანკისში სალაფიტებიც ცხოვრობენ. ისინი რამზან კადიროვს თავიანთ მტრად მიიჩნევენ. სალაფიტების მიმართ ღია აგრესიას გამოხატავს თავად კადიროვიც.

სოფლების დუისისა და ბირკანის მოსახლეობის ნაწილმა მოითხოვა, რომ მანქანებიდან ახმად კადიროვის ფოტოები მოეხსნათ. ამ მოთხოვნას სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. ადგილობრივების, სასულიერო პირებისა და სპეცრაზმის ჩარევის შედეგად სიტუაცია განიმუხტა.

ქართულმა სპეცსამსახურებმა ახლა ალბათ ის უნდა გაარკვიონ, ვინ და რა მიზნით აფრიალა ქართველების მოსისხლე მტრის, რამზან კადიროვის მამის ფოტო საქართველოს ტერიტორიაზე.

ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი აცხადებს, რომ რუსეთმა პანკისის მიმართულებით სერიოზული პროვოკაცია დაგეგმა და, თუ ჩვენი ხელისუფლება დროულად არ იმოქმედებს, შესაძლოა, ხეობა დავკარგოთ.

რა მიზანს ემსახურებოდა პანკისში მომხდარი პროვოკაცია, როგორ ახერხებენ პროვოკატორები საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას, რატომ არ მუშაობს თბილისი კავკასიელებთან? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

ზაალ კასრელიშვილი:

— უკვე წლებია ვამბობ, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე რელიგიური ნიშნით კონფლიქტის დაწყებას აპირებს. ეთნოკონფლიქტები დიდი ხანია აღარ არის რეზონანსული. არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ამის მცდელობას ჰქონდა ადგილი პანკისის ხეობაში.

ყველამ კარგად იცის, რომ ვაჰაბიტები და კადიროვი ერთმანეთს ვერ იტანენ. ჩეჩნეთის მეთაურს მათთვის ბრძოლა აქვს გამოცხადებული. აქედან გამომდინარე, ხეობის მოსახლეობის ნაწილი უარყოფითად შეხვდა იქ ახმად კადიროვის ფოტოების გამოჩენას.

— მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. კადიროველებს სალაფიტები დაუპირისპირდნენ. თქვენ ამბობთ, ვაჰაბიტების გაღიზიანება გამოიწვიაო.

— ვაჰაბიტები და სალაფიტები ერთი და იგივეა. ამ მიმდინარეობის დაამარსებელია მუჰამედ იბნ აბდ ალ-ვაჰაბი. ისლამის ეს მიმდინარეობა გამოირჩევა თავისი უკიდურესად რეაქციული ხასიათით.

ვაჰაბიტები ანუ სალაფიტები ქადაგებენ რელიგიური სიწმინდის დაცვას, ფუფუნების უარყოფას, სიმღერის, ცეკვის, თამბაქოს მოწევის აკრძალვას, ღვინის სმისგან თავის შეკავებას. მთავარი იდეაა ერთიანი მუსლიმანურ-სუნიტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ისინი მიიჩნევენ, რომ ზედმიწევნით კარგად იციან ყურანი.

— გასაგებია, რომ ვაჰაბიტები მტრულად შეხვდნენ ახმად კადიროვის ფოტოს გამოჩენას. ამ ფოტოს არც საქართველოს სხვა ტერიტორიებზე უნდა შეხვედროდნენ გაგებით.

— მე არ მსმენია, რომ ახმად კადიროვის ფოტოიან მანქანებს სადმე ტაში დაუკრეს. ეს მანქანები გამოჩნდნენ პანკისში და იქაურებს სრულიად ადეკვატური რეაქცია ჰქონდათ. მართალია, ეს რეაქცია ადეკვატური იყო, მაგრამ ამას შესაძლოა ძალიან ცუდი პროცესები მოჰყოლოდა.

— ეს მანქანები საქართველოში როგორ მოხვდა? რატომ შემოუშვეს ეს ხალხი ქვეყანაში? არ იცოდნენ, რომ ამას დაპირისპირება მოჰყვებოდა?

— მეეჭვება, რომ მანქანებმა საქართველოს საზღვარი ასე გადმოლახეს. საზღვარზე ახმად კადიროვის ფოტოებიან მანქანებს არავინ გამოატარებდა.

— დარწმუნებული ხართ, რომ არ გამოატარებდნენ?

— ძალიან მინდა, რომ ასე იყოს. თუ საზღვარზე ასე შემოვიდნენ, მაშინ იმაზე ცუდად ყოფილა საქმე, ვიდრე მე მგონია. საქმე კი მართლა რთულად არის.

— წესით, ჩვენს ტერიტორიაზე არც იმ მანქანებს უნდა უშვებდნენ, რომლებსაც გეორგიევსკის ბაფთა ამშვენებს, მაგრამ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე უპრობლემოდ შემოდიან.

— ძალიან ცუდია, რომ შემოდიან. ამას სერიოზული მიხედვა სჭირდება. ეს სათანადო სამსახურებმა უნდა გააკეთონ.

— რატომ არ აკეთებენ?

— სანამ პოლიტიკური ნება არ იქნება, ამას ვერც შსს გააკეთებს, ვერც სუსი და ვერც თავდაცვის სამინისტრო. 1992 წლიდან მოყოლებული დღემდე გავიძახი, რომ ლუსტრაციის კანონის მიღებაა საჭირო. ამ კანონს არ იღებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ უცხო ქვეყნის აგენტურასთან ბრძოლა არ იქნება.

რატომ არ იღებს პარლამენტი ლუსტრაციის კანონს, ამას, ვფიქრობ, თქვენი მკითხველი ძალიან კარგად ხვდება.

— რუსეთი უკვე წლებია, ცდილობს პანკისის ხეობაში სიტუაცია აურიოს. აქამდე არაფერი გამოუვიდა. ახლა გამოუვათ?

— ახლა ძალიან მძიმედ არის საქმე. რუსეთი მიზნის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებს. ახლა მას ჰაერივით სჭირდება პანკისში არეულობა.

— რუსეთს წინა წლებშიც უნდოდა არეულობა, მაგრამ არ გამოუვიდა.

— ახლა, როგორც უკვე გითხარით, ამის გაკეთება ჰაერივით სჭირდება.

— ახლა რა ხდება?

— ადრეც არაერთხელ განმიცხადებია და ახლაც გავიმეორებ, რომ აფხაზეთი, სამაჩაბლო და პანკისი რუსეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიებია. ამ ტერიტორიებზე თუ თავისი სამხედრო ბაზები ეყოლება, მთელ კავკასიას გააკონტროლებს.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთს ჰყავდა ერთადერთი მოკავშირე — სომხეთი. იქ ახლა რადიკალურად შეიცვალა ვითარება და სომხეთის სათავეში პროდასავლური ძალები მოვიდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ერევანი მოსკოვის ყველა ნება-სურვილს აღარ შეასრულებს.

მოსკოვს, ბუნებრივია, არ აწყობს სომხეთის დაკარგვა და ამიტომაც შეეცადა, იქაც დაეძაბა ვითარება. მე წინა ინტერვიუში გითხარით, რომ სირიის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარების უკან იდგა სომხური ლობი, რომლის ლიდერიც კრემლში ზის.

რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა სომხების გარეშეც სთხოვდა სირიას სოხუმისა და ცხინვალის აღიარებას, მაგრამ სპეციალურად წამოსწიეს წინ სომხური ლობი, ეგონათ, რომ ქართველებსა და სომხებს შორის კონფლიქტი დაიწყებოდა. ეს არ გამოუვიდათ.

ვერც თბილისში მიმდინარე აქციებით მიაღწიეს სასურველ შედეგს. ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ პანკისის ხეობაში აერიათ სიტუაცია. საქართველოს თუ არევენ, ამით სომხებსაც ასწავლიან ჭკუას.

— საქართველოში სიტუაციას არევენო, ამბობთ, მაგრამ წინა ინტერვიუებში თავად ამბობდით, რომ კრემლს აქ არეულობის მოწყობა აღარ გაუვა. თქვენივე თქმით, დღეს საქართველოს ფასი ერთი ასად არის გაზრდილი და აქ არეულობა არავის აწყობს.

— საქართველოს ფასი კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს მართლაც არ სურთ საქართველოში არეულობა. ისინი ამისთვის ბევრ რამეს აკეთებენ. უსაქმოდ არც კრემლია. მათთვის აქ არეულობის მოწყობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ვერ აცნობიერებს მოსაღოდნელ საფრთხეებს და სათანადო ზომებს არ იღებს.

— სათანადო ზომების მიღებაში რას გულისხმობთ?

— პირველ რიგში, უნდა მიიღონ კანონი ლუსტრაციის შესახებ. სხვანაირად ხელისუფლებას უცხო ქვეყნების აგენტურისგან ვერ გავწმენდთ.

სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული კანონი სახელმწიფო ღალატის შესახებ. ჩვენ დღეს იმის განმარტებაც კი არ გვაქვს, თუ რას ნიშნავს სახელმწიფოს ღალატი. აქედან გამომდინარე, როგორ გინდა, აგენტები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები გამოავლინო.

— მათი გამოვლენა სპეცსამსახურების საქმეა.

— ზევითაც გითხარით, რომ პოლიტიკური ნება თუ არ იქნება, მოღალატეებს ვერც ერთი სამსახური ვერ გაუმკლავდება და, სანამ ნება არ იქნება, მანამდე თბილისშიც აგირევენ სიტუაციას, შესაძლოა, პანკისიც წაიღონ.

— პანკისი წაიღონო, ამბობთ, როგორ უნდა მოხდეს ეს? ხეობაში ქართველებსა და ქისტებს შორის არ მომხდარა უთანხმოება. ერთმანეთს კადიროველი და ვაჰაბიტი ჩეჩნები დაუპირისპირდნენ.

— სწორედ ესაა რუსეთის მზაკვრული ჩანაფიქრი. აბა გაიხსენეთ, თავის დროზე რა მოხდა ჩეჩნეთში. რუსეთმა თავისი აგენტურის დახმარებით ჩეჩნეთის ეროვნულ— განმათავისუფლებელი ბრძოლა ვაჰაბიტებისა და დანარჩენი მუსლიმების დაპირისპირებად წარმოაჩინა.

შამილ ბასაევი, რომელიც რუსეთმა 1992-1993 წლებში აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა, 90-იანი წლების ბოლოს რამზან კადიროვის მამასთან დააპირისპირა, რომელიც, თავის მხრივ, ვაჰაბიტებს არ სწყალობდა.

ამ დაპირისპირებამდე მოსკოვმა ინგუშებსა და ჩეჩნებს შორის ჩამოაგდო უთანხმოება. ისინი ერთად რომ ყოფილიყვნენ და ერთად ებრძოლათ დამოუკიდებლობისთვის, მოსკოვი მათთან ვერაფერს გააწყობდა.

— ჩეჩნებისა და ინგუშების ერთობლივი სახელმწიფო როგორ წარმოგიდგენიათ? ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან.

— ეს განსხვავება დიდი არ არის. ჩეჩნები და ინგუშები ერთმანეთისგან ისე განსხვავდებიან, როგორც ქართლელი და კახელი.

ისევე, როგორც თავის დროზე ჩეჩნეთში, ახლა პანკისში კრემლი მუსლიმებს შორის დაპირისპირების მოწყობას ცდილობს. სხვათა შორის, სირიაშიც ამ საბაბით შევიდა და, პანკისში რომ რამე მოხდეს, აქაც შემოვა.

იმ შემთხვევაში, თუ პანკისიც დაიკავეს, ჩათვალეთ, რომ მთელ კავკასიას გააკონტროლებენ.

უკვე წლებია, ვეხვეწები ჩვენს ხელისუფლებას, რომ იმუშაონ კავკასიელებთან. სამეზობლო პოლიტიკა რომ აუცილებელია, ამაზე დასავლეთმაც მიგვითითა. ახლა მაინც გააკეთონ რამე.

როგორც წესი, მე ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს არ ვერჩი, მაგრამ შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მინისტრზე აუცილებლად უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა — ეს ქალი და მისი სამინისტრო არაფერს აკეთებენ.

— თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთონ?

— კავკასიელებს უნდა დაელაპარაკონ. მთელი კავკასია ჩვენ გვიყურებს. ინგუშები და ჩეჩნები ყოველთვის საქართველოს მხარეს იყვნენ. ახლა საპირისპირო სურათია.

— ეგრე ოსები სულ ჩვენ მხარეს იბრძოდნენ, მაგრამ დღეს მოსისხლე მტრებად იქცნენ.

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ოსები ჩვენი მოსისხლე მტრები არიან. ცხინვალში მცხოვრებლებს მე ოსებად არ ვთვლი. ნამდვილი ოსები ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში და ისინი საქართველოს წინააღმდეგ არასდროს წასულან.

ჩვენს ხელისუფლებებს მათთან რომ ემუშავათ, ვნახავდით, როგორ გაბედავდნენ ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარებას. ხელისუფლების ბევრმა წარმომადგენელმა ალბათ ისიც არ იცის, რომ ოსეთში არის ხალხი, რომლებიც ალანიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობაზე ოცნებობენ.

— ისე, ალალი იქნებოდა რუსეთზე, საქართველომ ჩრდილოეთ ოსეთის დამოუკიდებლობა რომ აღიაროს.

— ამის დროც მოვა. რუსეთის წინააღმდეგ ჩეჩნეთისა და ინგუშეთის დამოუკიდებლობის აღიარების გამოყენებაც შეიძლება. დიდი შედეგი იქნებოდა, ჩერქეზებს, ყაბარდოელებსა და პროდასავლურ სომხებსაც რომ დავლაპარაკებოდით.

ჩვენ არც აგენტების გამოვლენა გვინდა, არც კავკასიელებთან საუბარი და ამიტომაც ნუღარ გვიკვირს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დავკარგეთ.

— ადრე არასდროს გითქვამთ, რომ ეს ტერიტორიები დავკარგეთ.

— იმიტომ, რომ მჯეროდა, მათ დაბრუნებას შევძლებდით. დღეს შექმნილი რეალობა ოპტიმიზმის საფუძველს არ მაძლევს, მეტსაც ვიტყვი, მალე პანკისსაც დავკარგავთ და შემდეგი ცხელი წერტილი იქნება ქვემო ქართლი.

— თქვენგან ასეთი პესიმისტური განცხადება არ მახსოვს.

— არ გახსოვთ იმიტომ, რომ ასე პესიმისტურად განწყობილი არასდროს ვყოფილვარ. გამოსავალი ამ ვითარებაშიც არის და ჩვენ მზად ვართ, კავკასიელებთან დავილაპარაკოთ, მაგრამ ამას ჩვენი ინიციატივით ვერ გავაკეთებთ.

ისედაც ბევრი რამე გავაკეთეთ ჩვენი ინიციატივით — ლაფანყურის სისხლიანი ოპერაციის შემდეგ ჩეჩნები ჩვენ დავამშვიდეთ. ახლაც შეიძლება ვითარების შეცვლა.

ყველამ იცოდეს, რომ როგორც კი საქართველო ატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება, მოსკოვი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ოფიციალურად მიიერთებს, პანკისის ხეობას კი წაიღებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი ვაშაძე: „კვირიკაშვილი დიდი ხნის გასაშვები იყო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, რატომ გაუშვეს გიორგი კვირიკაშვილი?

– რატომ არ უნდა გაეშვათ?! რას აკეთებდა?! რამდენი ხნის გასაშვები იყო ეს კაცი. ჩემი პოზიცია გიორგი კვირიკაშვილთან დაკავშირებით თქვენ კარგად იცით, არაერთ ინტერვიუში გვისაუბრია ამაზე, რომ არ შეიძლება, ასეთი ტიპის პრემიერი ჰყავდეს ქვეყანას, რომელსაც აქვს ბევრი გამოწვევა სიღარიბისა და გაჭირვების კუთხით. თვითონ კი სულ იქებდა თავს, მაგრამ სამ რეფორმას თუ ვინმე დაასახელებს, რაც კვირიკაშვილმა გააკეთა თავისი პრემიერობის პერიოდში, რომელმაც ქვეყანას დიდი პოზიტივი მოუტანა, კი ბატონო, დავეთანხმები.

– ბოლო დღეები აქტიურად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ თქვენი და ქუმსიშვილის ფარულ სატელეფონო ჩანაწერს შეეწირა კვირიკაშვილის სავარძელი. ამ ინფორმაციის თანახმად, ქუმსიშვილი გეუბნებათ, მომიტინგეებსა და სარალიძეს უთხარით, რომ კვირიკაშვილის კი არა, გახარიასა და წულუკიანის გადადგომა მოითხოვონო. ამაზე რას იტყვით?

– ამ სატელეფონო ჩანაწერზე ერთი რამე შემიძლია ვუპასუხო: უტვინოებსა და ყეყეჩებს ტელეფონზე არ ველაპარაკები. აი, ეს არის ჩემი კომენტარი მაგაზე. ჩემი დამოკიდებულება ქუმსიშვილთან და კვირიკაშვილთან დაკავშირებით, მე მგონი, ყველამ კარგად იცის. ფაქტობრივად, ძალიან დიდი წვლილი შევიტანე იმაში, რომ ეს ადამიანები პოლიტიკურად განადგურებულიყვნენ. იმიტომ, რომ არაფერს აკეთებდნენ ქვეყანაში. ყოველდღე ქუმსიშვილს მისდის ჩემგან წერილი არემჯი გოლდთან დაკავშირებით, სადაც ვითხოვ შეხვედრას და ვეუბნები, რატომ გეშინია, რატომ არ მხვდები-მეთქი!

– თუ სიმართლეს არ შეესაბამება ეს ხმები თქვენს შეთანხმებასთან დაკავშირებით, მაშინ ვის რაში დასჭირდა ამის გავრცელება?

– ეს არის შავი პიარი და ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ზაზა სარალიძის პოლიტიზება მოხდეს ამ პროცესში, ვითომ პოლიტიკური ხელი ურევია და ასე შემდეგ. ხელისუფლებას ძალიან ეშინია ამ პროცესის. მთავრობის გადადგომით ეს არ დამთავრდება. ვინც არ უნდა იყოს ახალ მთავრობაში, მათ მოუწევთ, დასაჯონ ის ადამიანები, რომლებიც ხელს აფარებდნენ დამნაშავეებს.

– ხელისუფლება ცდილობს ზაზა სარალიძის წინააღმდეგ შავი პიარის აგორებას?

– დიახ და, აქედან გამომდინარე, ძალიან მარტივია საკითხი, რომ მათ სურვილი აქვთ, გააფუჭონ, დაზიანონ ის პროცესი, რომ ვითომ ვაშაძე კარნახობდა ზაზა სარალიძეს, რა უნდა ექნა. უბრალოდ, სამარცხვინოა ეს ყველაფერი! ამ სიბინძურის ტირაჟება არ იმუშავებს არავითარ შემთხვევაში, იმიტომ, რომ ყველამ ყველაფერი იცის. უბრალოდ, უნდათ, რომ ამ კაცს მიაკერონ იმიჯი, რომ ვიღაცის მართულია. ეს არ გამოვა. როგორ შეიძლება, შვილმოკლული მამა ვინმემ მართოს?! მე რომ მის ადგილას თავს წარმოვიდგენ, არ ვიცი, რას ვიზამდი! სამი შვილის მამა ვარ და ეს ძალიან მძიმე თემაა. მაქსიმალურად ცდილობენ, რამენაირად ზიანი მიაყენონ ზაზა სარალიძეს, პოსტზე შეინარჩუნონ შს მინისტრი და გამოძვრნენ ამ სიტუაციიდან.

– ისევ სიტუაციიდან თავის დაძვრენის მცდელობაა?

– ვერ გამოძვრებიან! დამნაშავე უნდა დაისაჯოს და ხელს ვინც აფარებდა, ისიც უნდა დაისაჯოს! რამეს ტყუილს ამბობს ეს კაცი? გახარიამ არ დაიწყო ამ საქმის გამოძიება?! მერე გადაეცა პროკურატურას. ამიტომ ზაზა სარალიძის ნეგატიური დამოკიდებულება გახარიასადმი აბსოლუტურად ლეგიტიმურია.

– მამუკა ბახტაძეზე რას იტყვით?

– ყველას ღიმილს ჰგვრის, როდესაც პრემიერ-მინისტრად ამ ადამიანის სახელი და გვარი გვესმის. მე ვფიქრობ, რომ სისტემურად არაფერი შეიცვლება ქვეყანაში. ერთადერთი, რასაც ცდილობს ივანიშვილი, ეს არის, რომ დროებით რაღაცნაირად დააცხროს სიტუაცია მთავრობის ცვლილებით, რაღაც მოლოდინი გააჩინოს ხალხში, მაგრამ ნეგატიური განწყობა ხალხის მხრიდან სახელების ცვლილებაზე კი არ არის, პირადად ივანიშვილზეა.

ხალხი გამწარებულია ივანიშვილზე, რომელმაც გადააგდო ეს ხალხი. არაფერს არ აკეთებს, არაფორმალური მმართველობითა და ფაშასეული სინდრომით არის შეპყრობილი. მივიდეს და თვითონ დადგეს პრემიერად, აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა, ეს უფრო სწორი პოზიცია იქნება. ხან ერთ ბატს შემოგვტენის ხოლმე და ხან მეორეს.

დღეს საქართველო „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში შესულია პროცესების განვითარების კატასტროფულ ნეგატიურ ციკლში. ამას ხელოვნურად პრემიერობის კანდიდატების დაყენება ვერ უშველის.

– აბა, რა უშველის?

– ეს ისევ ფორმალობა და სახელებისა და გვარების ცვლილებაა. მითხრას ვინმემ, ბახტაძემ ან რკინიგზაში, ან ფინანსთა სამინისტროში რით დაგამახსოვრათ თავი?! რკინიგზაში ვიცით, რომ შემცირდა ტვირთბრუნვა, ლამის გაკოტრების პირას არის ეს სისტემა მისული, რაც ფინანსთა სამინისტროში მივიდა, ფეისბუქზე მისი სურათების მეტი არაფერი მომხვედრია თვალში და რა უნდა შევაფასოთ?! ან რა მოლოდინი უნდა გვქონდეს?! თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ მთავრობის ცვლილებით ახლა ჭკუას ისწავლის „ქართული ოცნება“, ძალიან შემცდარა.

– რატომ გამწვავდა კვირიკაშვილისა და ივანიშვილის ურთიერთობები?

– არ გამოვრიცხავ, რომ კვირიკაშვილმა ცალკე თამაშები დაიწყო. არ გამოვრიცხავ, რომ ეს უკავშირდებოდეს მის პოლიტიკურ ინტერესებსაც. არ გამოვრიცხავ, რომ ფულის კეთებაში გადაიჭრა ეს ყველაფერი და ესეც ცალკე პრობლემა იყო.

ვთქვათ, ცალკე თამაში დაიწყო, მაგრამ ცალკე თამაშს რომ იწყებ, საქმეც ხომ უნდა გააკეთო?! რა გააკეთა კვირიკაშვილმა, ერთი მითხარით, რა?! მე სულ არ მაინტერესებს, რაზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და რა ვერ გაიყვეს. საბოლოო ჯამში, ეს შეუთანხმებლობა იყო სკამზე ჩაბღაუჭების შეუთანხმებლობა. რა არის ეს არაადამიანური დამოკიდებულება სკამზე?! ვერ აკეთებ საქმეს? წადი რა! კვირიკაშვილის ნდობა რომ ბოლო პერიოდში კატასტროფულად იყო დავარდნილი, ესეც ხომ ფაქტია, არა?! მე სულ არ მაინტერესებს, რა ვერ გაიყვეს კვირიკაშვილმა და ივანიშვილმა! მე ვიცი, რომ ეს სისტემა არის მთლიანად ჩამოსაშლელი. ქვეყანა იმყოფება კატასტროფულ მდგომარეობაში.

– ჩამოსაშლელია სისტემაო და ეს პროცესი რამდენად მოხერხდება უმტკივნეულოდ?

– მოხერხდება. ამ 10-დღიანმა აქციებმა აჩვენა, რომ მთლიანად მთავრობა გადადგა და რა აღარ მოხდა. პოლიტიკოსები არ უნდა ჩაერთონ ამ აქციებშიო, ამბობდნენ ვიღაც-ვიღაცები.

– იმის თქმა გინდათ, რომ ამ აქციებმა დააჩქარა ეს პროცესი?

– აბა, რა ქნა?! კიდევ ერთი სიცოცხლე შესწირა ბიძინა ივანიშვილმა ამ ყველაფერს. მთავრობა შეიცვალა და მოუწია ამხელა მსხვერპლზე წასვლა. რა თქმა უნდა, სწორი იყო ჩვენი, პოლიტიკოსების ჩართვა. შეეცდებოდა ხელისუფლება, რომ ეს ყველაფერი გადაეგორებინა არაფრით. დღეს კი ისე წავიდა პროცესები, რომ ახალ მთავრობასაც უნდობლობა აქვს საზოგადოების მხრიდან. ნახონ აბა ხალხის აზრი ამასთან დაკავშირებით. თვითონ „ქართულ ოცნებაში“ დაიწყეს ვადამდელ არჩევნებზე საუბარი.

– დადგება დღის წესრიგში ვადამდელი არჩევნების საკითხი?

– მე ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან დადგება ეს საკითხი დღის წესრიგში. კრიზისული სიტუაციაა. დღეს პარლამენტში ზის 120 დეპუტატი, რომლებსაც ნდობის ლიმიტი ამოწურული აქვთ.

სისხლიანი გარჩევა ოზურგეთის საკრებულოში

„ოცნების“ რვა დეპუტატმა ერთ ნაციონალს სცემა

შორენა მარსაგიშვილი

15 ივნისს ოზურგეთის საკრებულოში სისხლი დაიღვარა. „ქართული ოცნების" დეპუტატებმა ნაციონალი ჯოლეგა ბესო ქათამაძე სოციალურ ქსელში აქტიურობის გამო გაცხარეს. ნაცემ დეპუტატს თავის ახლო ამხანაგებმა ჭრილობა აქვს მიყენებული.

ნაცემი დეპუტატის განცხადებით, მეოცნებე კოლეგები მას პასუხს პოლიტიკურ საქმიანობასა და სოციალურ ქსელებში მის აქტივობებზე სთხოვდნენ.

როგორც ის „გურიის მოამბესტან“ ამბობს, მას ტელეფონზე დაურეკეს და შეხვედრა სთხოვეს, შემდეგ კი ფიზიკურად გაუსწორდნენ:

– დამირეკეს, მითხრეს სალაპარაკო გვაქვსო, როცა შევედი დარბაზში, აზრზე მოსვლა ვერ მოვასწარი, დამესხნენ თავს, მირტყამდა დაახლოებით 8 ადამიანი, თავში რაღაც მძიმე საგანი მომხვდა და გონება დავკარგე, – ასე იხსენებს საკრებულოს სხდომათა დარბაზში მომხდარ სისხლიან გარჩევას ქათამაძე.

მედიასთან საუბარში დაზარელებულმა დეპუტატმა იმ კოლეგების გვარებიც დაასახელა, რომლებიც მას ფიზიკურად გასუწორდნენ.

ქათამაძე ამბობს, რომ მის ცემაში საკრებულოს თავმჯდომარე გელა არაშიძეც მონაწილეობდა.

– ჩემს ცემაში პირადად მონაწილეობდნენ ლევან კილაძე, დათო ჭაკნელიძე, გოჩა კილაძე, გელა არაშიძე და კიდევ რამდენიმე დეპუტატი, – აღნიშნა ქათამაძემ.

დასისხლიანებული დეპუტატი ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში „მედიალფაში“ გადაყვანეს.

როგორც ცენტრის დირექტორმა, დავით მდინარაძემ მედიას განუცხადა, პაციენტს თავზე ჭრილობები

აღენიშნებოდა:

– პაციენტს მოყვანისასა აღენიშნებოდა სამი ჭრილობა, 1-1, 5 სანტიმეტრ სიღრმის. ერთ-ერთი იყო სისხლმდენი, პაციენტს ჩაუტარდა შესაბამისი მკურნალობა, დაედო ნაკერები. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ის შეაძლოა ერთ საათში ბინაზე გაეწეროს, – განაცხადა „გურიის მოამბესთან“ საუბარში მდინარაძემ.

ოზურგეთის საკრებულოში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შსსმ გამოძიება 126-ე მუხლის პირ5ველი ნაწილით დაიწყო, რაც ცემას გულისხმობს.

გამოძიებისათვის ჩვენებების მისაცემად ორთავე მხარეა დაბარებული.

მომხდართან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართა ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით მჟავანაძემ.

მჟავანაძე იმ პირების სრული სიმკაცრით დასჯას ითხოს, რომლებიც საკრებულოს დეპუტატის ცემაში მონაწილეობდნენ

ის „ქართული ოცნების“ დეპუტატებს კრიმინალური მენტალიტეტის მატარებლებს უწოდებს.

– ეს არის კრიმინალური მენტალობის მქონე მმართველი პარტიის წევრების ქმედება, რომელსაც საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს. მოვუწოდებ პროკურატურას ნუ შეეცდება ამ საქმის მიფუჩეჩებას, თორემ უარეს შედეგს მიიღებენ. მისივე მტკიცებით, საკრებულოს "ქართული ოცნების" ფრაქციის თავმჯდომარის, გელა არაშიძის, აგრარული კომისიის თავმჯდომარის, გოჩა კილაძის და კიდევ ერთი კომისიის თავმჯდომარის, დავით ჭაკნელიძის მხრიდან დეპუტატზე თავდასხმა გურიის გუბერნატორის ფეისბუქ პოსტს მოჰყვა, – აღნიშნა მჟავანაძემ.

2019 წლიდან თაფლის ხარისხის შემოწმება უცხოეთის ნაცვლად საქართველოში მოხდება

– საქართველოში თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა 2018 წლის დეკემბერში დასრულდება. ორი წარუმატებელი ტენდერის შემდეგ, გამოჩნდა გამარჯვებული სამშენებლო კომპანია, რომელიც ობიექტზე მომავალ კვირას შევა და

საწარმოს მშენებლობას დაიწყებს, – ეს განცხადება საქართველოს კოოპერატივების სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი მიშელაძემ დღეს, სასტუმრო ბეტსში გამართულ ფერმერთა კონგრესზე გააკეთა.

გიორგი მიშელაძის ინფორმაციით, ეს იქნება კოოპერაციული საწარმო: თაფლის გადამამუშავებელ საწარმოს გავმართავთ სრულად, მცირე ლაბორატორიული აღჭურვილობით. ასევე დამატებით დამონტაჟდება ფიჭის დასაბეჭდი დანადგარები. თაფლის ჩამოსხმა იწარმოებს 20 გრამიდან დაწყებული, ყველა ზომის ქილებში და შევძლებთ, რომ ერთიანად მივაწოდოთ ბაზარს.

მიშელაძის განცხადებით, ეს ბიზნესი მართვაში გადაეცემა მეორე დონის კოოპერატივებს და 109 პირველი დონის კოოპერატივს მოემსახურება. ასევე, ადგილობრივ თაფლის მწარმოებლებს დიაგნოსტიკასა და ლაბორატორიულ შემოწმებაზე თაფლის ნიმუშების გაგზავნა ლიტვის ლაბორატორიაში აღარ მოუწევთ.

კომერსანტი

საქართველოს მოქალაქეებისთვის მონტენეგროში უვიზო მიმოსვლა ამოქმედდა

საქართველოს მოქალაქეებისთვის მონტენეგროში უვიზო მიმოსვლა ამოქმედდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, დღეს ძალაში შევიდა მონტენეგროს სავიზო პროცედურების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც 2018 წლის 15 ივნისიდან საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ შევიდნენ მონტენეგროს ტერიტორიაზე.

მათივე ინფორმაციით, უვიზო რეჟიმის პირობებში საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე შეუძლიათ გაემგზავრონ მონტენეგროს ტერიტორიაზე და დაჰყონ 90 დღე 180 დღიან პერიოდში.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები ოკუპირებულ „სამხრეთ ოსეთში“ სამხედრო წვრთნებს ატარებენ

ოკუპირებულ „სამხრეთ ოსეთში“ „ძარცემის“ პოლიგონზე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მე-4 ბაზის ქვედანაყოფები სამხედრო წვრთნებს ატარებენ.

როგორც რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის პრესსამსახური იუწყება, სწავლებაში 2,5 ათასზე მეტი სამხედრო და დაახლოებით 500 ერთეული სამხედრო ტექნიკაა ჩართული. წვრთნებში ასევე მონაწილეობენ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. შეიარაღებული ძალების დანაყოფები.

– ამგვარი ერთობლივი წვრთნები ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას, უნარების გაუმჯობესებას, რაც აუცილებელია ოფიცრების სამეთაურო თვისებებისთვის, – განაცხადეს დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროში. მათ ასევე აღნიშნეს, რომ მიღებული ცოდნა შემდგომში დადებითად აისახება დანაყოფებში პირად შემადგენლობასთან მუშაობისას.

შალვა შავგულიძე: „მთავარი პროკურორობა ჩემი ცხოვრების დღის წესრიგში არ დგას“

„ევროპული საქართველოს“ მიერ ჩემ წარდგენას ჩემთვის დისკომფორტი არ შეუქმნია“

ნათია ხურცილავა

„თავისუფალი დემოკრატების" თავმჯდომარე შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში სამთავრობო ცვლილებებსა და მთავარი პროკურორის კანდიდატობის შეთავაზებაზე საუბრობს.

– ბატონო შალვა, თქვენ როგორ აფასებთ სამთავრობო ცვლილებებს, რას მოიტანს ეს პროცესი? ცვლილებები უნდა შეეხოს მხოლოდ ეკონომიკურ გუნდს თუ ძალოვნებსაც?

– ნათელია, რომ ამ ცვლილებებს ერთპიროვნულად ბიძინა ივანიშვილი ახორციელებს, ამიტომ, ამ ცვლილებებიდან სასიკეთოს არაფერს ველოდები.

რასაკვირველია, ცვლილებები მხოლოდ კაბინეტის ეკონომიკურ ნაწილს არ უნდა შეეხოს. თუკი რამე საკითხი მწვავედ დადგა, საზოგადოების აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია, რამაც კვლავ რუსთაველის გამზირზე გადაინაცვლა, ეს არის სამართალწარმოების სფერო. პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც ხელისუფლებაში სწორედ სამართლიანობის აღდგენის ეგიდით, სამართლიანობის მოტანის დროშით მოვიდა, ეს დანაპირები აბსოლუტურად უგულებელყო და არ შეასრულა.

მეტიც, მან ინსტიტუციურად საკუთარ კონტროლქვეშ დაიტოვა, წინა ხელისუფლების მსგავსად, როგორც სამართალდამცავი სისტემა, ასევე სასამართლო სისტემა. პერსონალურადაც კი ვერ შეელია იმ პროკურორებს, იმ გამომძიებლებს, იმ მოსამართლეებს, რომლებიც ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ წინა ხელისუფლების მსახურებით და არა – კანონის მსახურებით. ეს პერსონები დაიტოვა, დააწინაურა კიდეც და ჩააბარა ეს უწყებები.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკა ასეთი გამოდგა: ცუდი იყო ნაციონალური მოძრაობის ხელში მართვადი პროკურატურა, მართვადი პოლიცია, მართვადი სასამართლო, მაგრამ ძალიან კარგია ჩვენს ხელში. ამას რომ ვხედავდი ცხადად, იმიტომ დავტოვე ხელისუფლება და გადავედი ოპოზიციაში.

– თქვენ ამბობთ, სწორედ ამიტომ პასუხისმგებლობა კაბინეტის ძალოვანმა ნაწილმაც უნდა აიღოს?

– რა თქმა უნდა, და ეს პასუხისმგებლობა, თუკი უფრო დავაკონკრეტებთ, იუსტიციის სამინისტროს ეკისრება, იუსტიციის მინისტრს, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირს. მთავარი პროკურორი შოთაძე გადადგა იმიტომ, რომ მან აიღო პოლიტიკური პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა იმაზე, რომ საზოგადოებას არ აქვს ნდობა პროკურატურის საქმიანობის მიმართ. შოთაძისთვის დანაშაული არ დაუდასტურებიათ, ის თანამდებობიდან სწორედ პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამო გადადგა და მან აპოლიტიკური თანამდებობა დატოვა.

პროკურატურა იუსტიციის სისტემაში შედის. ამ სისტემაში კი პოლიტიკური თანამდებობის პირი იუსტიციის მინისტრია. ამდენად, ლოგიკურია არასამთავრობო სექტორის მოთხოვნა, რომელსაც ფართო საზოგადოება უერთდება, რომ სწორედ უპირველესად იუსტიციის მინისტრია პოლიტიკურად პასუხისმგებელი ამ სფეროს საქმიანობაზე. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გატარებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა არათუ ვერ უზრუნველყო სამართალდამცავი სფეროს, პროკურატურისა და სასამართლოს დამოუკიდებლობა, არამედ ინსტიტუციურად პოლიტიკური ძალის ნებას კიდევ უფრო მეტად დაუქვემდებარა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ იუსტიციის მინისტრ წულუკიანს ვერ შეელევა?

– „ქართული ოცნება“ თავის პოზიციებში ლოგიკური უნდა იყოს. მათ თუ მიიღეს მთავარი პროკურორის გადადგომა სწორედ პოლიტიკური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, ეს პასუხისმგებლობა იუსტიციის მინისტრს უნდა დააკისროს. მით უფრო მაშინ, როდესაც სამთავრობო ცვლილებები ხორციელდება, იუსტიციის მინისტრი არ უნდა დარჩეს თანამდებობაზე. პიროვნულად თეა წულუკიანთან არავითარი დაპირისპირება არ მაქვს, აქ საუბარია იმ საქმიანობაზე, რომელზეც პასუხისმგებლობა მას ამ ქვეყნის მოქალაქეების წინაშე აქვს აღებული.

– „ევროპული საქართველოს“ წევრმა ელენე ხოშტარიამ განაცხადა, ამ ვითარებაში მნიშვნელოვანია, მთავარი პროკურორის ადგილი გამოვგლიჯოთ ხელისუფლებას, ჩვენ ამ თანამდებობაზე შალვა შავგულიძის კანდიდატურა გვყავს წარდგენილიო. ბატონო შალვა, არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა, რომ სწორედ ბოკერიას გუნდმა წარგადგინათ ამ პოზიციაზე. რას უპასუხებთ მათ, ვისაც კითხვის ნიშნები აქვს?

– პირდაპირ გეტყვით, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ახალი მთავარი პროკურორი, ეს ვიქნები მე, თუ ეს იქნება სხვა, მაგრამ ერთი ცხადია, მთავარი პროკურორი საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირი უნდა იყოს. საზოგადოებას აუცილებლად უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ ეს ადამიანი არანაირი პოლიტიკური გავლენების ქვეშ არ მოექცევა და მთავარი პროკურორის უფლებამოსილებას მხოლოდ კანონის საფუძველზე შეასრულებს. რადგან ხელისუფლებას დათმობაზე მოუწია წასვლა, ახლა ამას გამოყენება და ბოლომდე მიყვანა სჭირდება.

– ერთგვარ დისკომფორტს ხომ არ გიქმნით, რომ სწორედ „ევროპულმა საქართველომ“ წარგადგინათ?

– არავითარ დისკომფორტს არ მიქმნის. მადლობა მინდა ამ პოლიტიკურ ძალას გადავუხადო, რომელთანაც არასდროს არაფერი არ მაკავშირებდა. პირიქით, მათი ოპონენტი ვიყავი ყოველთვის, ფაქტიურად სულ დაპირისპირება მიწევდა ჩემი საადვოკატო საქმიანობიდან გამომდინარე.

– მათი მხრიდან ამ შეთავაზებას მოელოდით?

– არა, სიმართლე გითხრათ, ამ პოლიტიკური ძალისგან ნამდვილად არ მოველოდი.

– თქვენი პარტიის განწყობა როგორია, მათ ხომ არ აქვთ კითხვები?

– არ მგონია, ასეთი მნიშვნელოვანი იყოს, ვინ წარადგენს. არც ის მგონია მნიშვნელოვანი იყოს, ვინ იქნება კანდიდატი. ახლა მნიშვნელოვანია, სამოქალაქო სექტორმა, ოპოზიციურმა სპექტრმა, იურიდიულმა საზოგადოებამ კანდიდატებზე შეჯერება მოახერხოს და ეს კანდიდატები ხელისუფლებას წარუდგინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში „ქართულ ოცნებას“ იმ კომფორტში დავტოვებთ, როდესაც ის მთელ ისრებს საზოგადოებისკენ მიმართავს, მას დაადანაშაულებს და იტყვის: თქვენ კანდიდატზე ვერ შეთანხმდით და ახლა ჩვენ დავნიშნავთ იმას, ვინც მიგვაჩნია საჭიროდ.

– თუნდაც იუსტიციის მინისტრი არ გადააყენონ თანამდებობიდან?

– ასეთ შემთხვევაში დათანხმება გამართლებული იქნება მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუკი მიღწეული იქნება ფართო საზოგადოებრივი თანხმობა, ვგულისხმობ ძირითად ოპოზიციურ სპექტრს, სამოქალაქო სექტორსა და იურიდიულ წრეებს, რომ მიუხედავად იმისა, ხელისუფლება საზოგადოების წინაშე გამოწვევით გამოდის და არ თმობს იუსტიციის მინისტრს, საზოგადოებამ მისი მონაპოვარი ბოლომდე მიიყვანოს.

– მზად რამდენად იქნებით, თუ მართლაც ამ დათმობაზე წავიდა ხელისუფლება და პროკურატურა ოპოზიციურად განწყობილ კანდიდატს ჩააბარა, ეს პასუხისმგებლობა აიღოთ?

– გულახდილად რომ გითხრათ, ჩემი ცხოვრების დღის წესრიგში საერთოდ არ იდგა და არც დღეს დგას მთავარი პროკურორობა.

– რატომ?

– ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და ურთულესი საქმის კეთება, მით უფრო დღეს.

თუმცა, ახლა ამ პოზიციის დათმობა და საკითხის ამგვარად დაყენება: სანამ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით ხელისუფლება არ შეიცვლება და ახალი მთავარი პროკურორი არ დაინიშნება, მანამდე უარი ვთქვათ, არ მგონია, სწორი იყოს. სამართლებრივ მექანიზმებზე უარის თქმა და მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში გადატანა გამართლებული არ არის. ვერ ვიზიარებ მოსაზრებას, რას შეძლებს ერთი მთავარი პროკურორი! ერთი ადვოკატი ვიყავი გირგვლიანის საქმეში, მაგრამ სამართლებრივად სწორად წარმოებულმა დაცვამ, რომელმაც ასახვა ჰპოვა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებაში, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგი დააყენა.

დღეს ყველაზე მეტად ხორავას საქმის გახსნა, ამ ტკივილზე პასუხის გაცემა მთავარ პროკურორს შეუძლია. რა მნიშვნელობა აქვს, შსს იძიებს თუ ვინ, ყველაფერი პროკურატურის ზედამხედველობის ქვეშ არის. ამიტომ, ახლა ამაზე უარის თქმა, ასევე დროის ფაქტორის გათვალისწინებით, არ შეიძლება. გამოძიებისთვის დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, თვეები თუ გავა, ამ საქმიდან არაფერი არ დარჩება.

„9 მლრდ არის ყალბი ფული, რომელიც ბანკებს აქვთ“

– ბანკებს თუ აქვთ გასესხების ვალდებულება, მათ სხვა საქმიანობა არ უნდა ჰქონდეთ. არ უნდა შეეძლოთ საკუთარ თავს ან ოჯახის წევრებს მისცენ სესხი, – ამის შესახებ პარლამენტის წევრმა დავით ჭიჭინაძემ რადიო „პალიტრას“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა.

მისი თქმით, ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა – ეს ნიშნავს ბანკირების ძალაუფლებას.

– სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ უყურებდეს მოსახლეობის შესაძლებლობას და გადახდისუნარიანობას. როდესაც ადამიანს აძ-

ლევ სესხს და მას სთხოვ ფულს (ამის უფლება ყველას გააჩნია) და ამავე დროს, სხვისგან წამოღებული ფულს საკუთარ თავს გაცილებით იაფად და პრაქტიკულად, უფასოდ აძლევ, იმან როგორ შეიძლება კონკურენცია გაგიწიოს?! ამაზეა საუბარი, ბანკებს თუ აქვთ გასესხების ვალდებულება, მათ სხვა საქმიანობა არ უნდა ჰქონდეთ. არ უნდა შეეძლოთ საკუთარ თავს ან ოჯახის წევრებს მისცენ სესხი“, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

დავით ჭიჭინაძე ქვეყანაში ბოლო წლებში კომერციული ბანკების რაოდენობის შემცირებასაც გამოეხმაურა. მისი თქმით, კომერციული ბანკების შემცირება ხდება იმიტომ, რომ მოგება მხოლოდ 2-3 ბანკზე გადანაწილდეს.

– სამწუხაროდ, ეროვნული ბანკის მესვეურებისგან გვესმის, რომ 2-3 ბანკი საკმარისია. ვინ დაადგინა რამდენი ბანკია საჭირო, რატომ ზღუდავენ?! ბანკების შემცირება უნდათ იმიტომ, რომ ის მილიარდიანი მოგება ნაკლებმა ბანკმა გაინაწილოს. ისედაც სულ 2-3 ბანკზე ნაწილდება ეს მოგება, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

მისი თქმით, საბანკო სისტემაში არის კიდევ ერთი ცუდი მეთოდი, რომლის რეგულირებაც არ ხდება.

– არის ასეთი – M2 ფულადი მასა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოშია და არ შეიძლება სესხი მაგაზე მეტი არსებობდეს. ჩვენთან M2 არის 13 მილიარდი და სესხი – 22 მილიარდი. საიდან არის ეს 9 მილიარდი?! ეს არის ყალბი ფული, რომელიც ბანკებს აქვთ და არარსებულ ფულზე დარიცხული პროცენტი, როგორ შეიძლება ვინმემ გადაიხადოს?! ესაა მთელი უბედურება, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

ბპნ

გაერო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილების საკუთარ სახლ-კარში დაბრუნებას ითხოვს

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ აფასებს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილი მოსახლეობის საკუთარ სახლ-კარში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლების შესახებ რეზოლუციას.

– ბატონო ჯემალ, გაერომ მორიგი რეზოლუცია მიიღო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილების საკუთარ სახლ-კარში დაბრუნების თაობაზე. როგორ აფასებთ თქვენ ამ რეზოლუციას?

– გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 12 ივნისს, თავის 72-ე სესიაზე მიიღო რეზოლუცია, რომელსაც ჰქვია აფხაზეთიდან (საქართველო) და ცხინვალი (სამხრეთ ოსეთი), (საქართველო) იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ. მსგავსი რეზოლუციები ყოველწლიურად მიიღება, 2008 წლიდან მოყოლებული. ფაქტობრივად, მე-11 რეზოლუციაა.

– სამწუხაროდ, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ დაამკვიდრეს საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ჩვენი დიპლომატიის ნაკლი არ არის?

– „სამხრეთ ოსეთი“ ჩვენ არ დაგვიმკვიდრებია. ეს არის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახელწოდება. მათ ახლაც გადაირქვეს სახელი. რეზოლუციაში გასაგებად

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ოკუპირებულმა აფხაზეთმა 1 აგვისტომდე უცხოელებისთვის უვიზო რეჟიმი შემოიღო

რეგიონში მძიმე სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა შეიქმნა

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ჰაუე ხაჯიმბას ბრძანებულებით, 15 ივნისიდან 1 აგვისტომდე ამოქმედდა უვიზო რეჟიმი იმ უცხოელებისთვის, ჰომლებიც საზღვარს „ფსოუს" საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან გადმოკვეთენ. ეს გადაწყვეტილება ჩუსეთში მიმდინარე ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს უკავშირდება. მუნდიალს სოჭი, დონის როსტოვი და ვოლგოგრადი მასპინძლობენ.

ხაჯიმბას ეს აქტი ეხება ყველას, საქართველოს მოქალაქეების გარდა.

საოკუპაციო რეჟიმს მუდმივი უვიზო მიმოსვლა უკვე აქვს აფხაზეთის მაღიარებელ სახელმწიფოებთან, ასევე ისეთ წარმონაქმნებთან, როგორებიცაა ცხინვალის რეგიონი, დნესტრისპირეთი, მთიანი ყარაბაღი. გარდა ამისა, აფხაზეთში უვიზოდ უშვებენ ბელორუსიისა და ყაზახეთის მოქალაქეებს. სხვებს ვიზების აღება შეუძლიათ ფსოუზე. ერთ მოქალაქეს უფლება აქვს, ვიზით ზედიზედ ორჯერ ექვს-ექვსი თვით ისარგებლოს.

არ არის გამორიცხული, მადლიერების ნიშნად სეპარატისტულმა რეჟიმმა ვიზები იმ სახელმწიფოების მოქალაქეებსაც მოუხსნას, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს გაეროს გენერალური ასამბლეის 13 ივნისის რეზოლუციას.

გაეროს ეს რეზოლუცია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გამოდევნილ ყველა ეროვნების მოსახლეობასა და მის უფლებებს ეხება. მასში გამოთქმულია შეშფოთება იმ ჰუმანიტარული სიტუაციით, რომელიც შეიქმნა 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ. გენერალური ასამბლეა აღიარებს ყველა გადაადგილებული პირისა და დევნილის, ასევე მათი შთამომავლების უფლებას, დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

დევნილების მხარდამჭერ რეზოლუციას მხარი დაუჭირა 81-მა სახელმწიფომ. 62-მა თავი შეიკავა. 16 ქვეყანა, მათ შორის, სომხეთი და ბელორუსი, რეზოლუციის წინააღმდეგ წავიდნენ.

გაეროს ამ რეზოლუციაზე სამსჯელოდ აფხაზეთში ჯერ არ სცალიათ. საოკუპაციო რეჟიმი სტუმრების დასახვედრად ემზადება. რეგიონში იმედი აქვთ, რომ რუსეთში ჩასული ფეხბურთის გულშემატკივრები აფხაზეთშიც შეივლიან.

თუ უცხოელებმა აფხაზეთში გამომგზავრება გარისკეს, იქ მოუწყობელი ინფრასტრუქტურისა და საშიში კრიმინოგენური ფონის გარდა, არასაიმედო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ვითარება დახვდებათ.

ეკოლოგია აფხაზეთში ბოლო დღეებში გაგრის ნაგავსაყრელის აალებამ დააბინძურა. ცეცხლის კერები, ძირითადად, ჩააქრეს, მაგრამ კიდევ უამრავი საქმეა გასაკეთებელი. ნაგავსაყრელები გაუქმების შემდეგაც კი აზიანებს გარემოს.

ფაქტის გამო შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ცდილობს ინფექციების გავრცელებისა და შემდგომი ზიანის თავიდან აცილებას.

გადაწყდა, რომ ნაგვისაგან გუდაუთასაც გაათავისუფლებენ. იქიდან ნარჩენებს გულრიფშის პოლიგონზე გადაზიდავენ.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების საკითხის განხილვისას სამუშაო ჯგუფში ახალი იდეა დაებადათ. გაჩნდა აფხაზეთში ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის წინადადება.

ქარხნის მშენებლობას თანხები სჭირდება. ინვესტორების მოზიდვაზე სხვებზე მეტად მოსკოვში მცხოვრები აფხაზური დიასპორა და აფხაზ-აბაზინელთა კონგრესი ზრუნავენ. ყველაზე დიდ იმედს ისინი უცხოეთში მცხოვრებ აფხაზებზე ამყარებენ.

აფხაზი რეპატრიანტების ნაწილი უკვე დაბრუნდა. ყველა რეპატრიანტი ინვესტორი არ არის.

სირიიდან აფხაზეთში დაბრუნდა სირიის მეჯლისის ყოფილი დეპუტატი შარაფ მარშანი. იგი დამასკოში ჩერქეზული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელიც იყო. მარშანმა ამ დღეებში პირადად გადაუხადა მადლობა სირიის ხელისუფლებას აფხაზეთის აღიარებისათვის. მისივე თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აფხაზეთში დაბრუნდნენ ძმები სირიიდან, თურქეთიდან და იორდანიიდან.

გაერო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილების საკუთარ სახლ-კარში დაბრუნებას ითხოვს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

წერია: „ცხინვალი („სამხრეთ ოსეთი", საქართველო)". „ცხინვალი" სხვა არაფერია, თუ არა ცხინვალის რეგიონი, რომელიც არის საქართველო. ასე რომ, ამ კუთხით პრობლემა არ არის.

– რით განსხვავდება ახლანდელი რეზოლუცია წინა წლებში მიღებული რეზოლუციებისაგან?

– ვერ ვიტყვი, რომ ამ რეზოლუციაში არის რაღაც პრინციპულად განსხვავებული მოთხოვნები და დებულებები. ერთადერთი, რაც შეიძლება აღვნიშნოთ, დევნილების დაბრუნების მხარდამჭერთა რიცხვი რეზოლუციებში ყოველწლიურად იზრდება.

– დიახ, მგონი, ახლაც გაზრდილია.

– დევნილთა დაბრუნების მომხრე ქვეყნების რაოდენობა ამჯერადაც გაიზარდა, მართალია, სულ ერთი ქვეყნით, მაგრამ მთავარია, რომ გაიზარდა. მომხრეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ეს ნამდვილად მისასალმებელია, რადგან სულ უფრო მეტი და მეტი ქვეყანა მოითხოვს დევნილთა საკუთარ სახლში დაბრუნებას.

– მაინც რით არის მნიშვნელოვანი აღნიშნული რეზოლუცია?

– რეზოლუციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ დევნილთა და მათი შთამომავლების უფლებაა, მიუხედავად ეროვნებისა, ყველა დაბრუნდეს საკუთარ სახლში, როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში.

– ანუ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ძალადობით გამოდევნილი ადამიანების თავიანთ სახლ-კარში დაბრუნების უფლება ყველა რეზოლუციაშია დადასტურებული. ალბათ, მომავალშიც ეს უფლება ყველა რეზოლუციაში იქნება ასახული. თუკი გაერო ამგვარ დოკუმენტს კვლავ მიიღებს, ხელსაყრელ მომენტში მათი დაბრუნებისთვის საერთაშორისო მხარდაჭერა გარანტირებულია?

– დიახ, ამას ნიშნავს. მთელი საერთაშორისო საზოგადოება, გაერო, მისი გენერალური ასამბლეა აღიარებს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გამოდევნილი ადამიანებისა და მათი შთამომავლების დაბრუნების უფლებას.

რეზოლუციაში ხაზგასმულია ამ ადამიანების საკუთრების დაცვის უფლებაც. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. რეზოლუციაში ასევე საუბარია იმაზე, რომ დაუშვებელია ძალისმიერი მეთოდებით დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა. ესეც ყველა რეზოლუციაში მეორდება, მაგრამ ამით ამ რეზოლუციის მნიშვნელობა არ კნინდება. პირიქით, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოების ნება ურყევია, რასაც გაერო და მისი გენერალური ასამბლეა ადასტურებს.

– ოკუპირებულ ტერიტორიებზე დემოგრაფიული სიტუაცია ქართველების ძალადობრივად გამოდევნის შედეგად უკვე შეცვლილია.

– გასაგებია, მაგრამ გაერო ამის დაუშვებლობაზე საუბრობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამის გამო ომს არ დაიწყებს, მაგრამ ამგვარ ქმედებას გმობს. კარგად მოგეხსენებათ, ეს რეზოლუცია ჰუმანიტარული ხასიათისაა.

ამიტომ გაეროს გენერალური ასამბლეა ხაზგასმით ამბობს, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჰუმანიტარული მიზნებით შესვლა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მათ შორის, რა თქმა უნდა, ოკუპირებული ტერიტორიებიც იგულისხმება.

– ამის განხორციელება როგორ წარმოგიდგენიათ?

– ჰუმანიტარული მიზნებიდან გამომდინარე, ამ ტერიტორიებზე დაშვებული უნდა იყოს ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის შესვლა. მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიებისთვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რეზოლუციაში წერს, რომ აუცილებელია გრაფიკის შედგენა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა დევნილის უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება, ხელისშემშლელი გარემოებების გარეშე.

– ეს სიახლეა თუ წინა რეზოლუციებშიც იყო ამაზე საუბარი?

– წინა რეზოლუციებშიც იყო გრაფიკის შედგენის მოთხოვნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი გრაფიკი არ შემდგარა.

– ვინ არის ამის აღმსრულებელი, დევნილების დაბრუნების გრაფიკი ვინ უნდა შეადგინოს და შემდეგ ვინ უნდა აღასრულოს?

– ასეთი გრაფიკის შემდგენლის თაობაზე რეზოლუციაში მითითებული არ არის. თუმცა, დევნილთა დაბრუნების გრაფიკი მხარეებმა უნდა შეადგინონ. მოგეხსენებათ, აღნიშნული ტერიტორიები რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ე.ი. ქართული და რუსული მხარეები უნდა შეთანხმდნენ დევნილთა დაბრუნების გრაფიკზე. რეზოლუციაში არ არის მითითებული დევნილთა დაბრუნების გრაფიკის შემდგენელი მხარეები, მაგრამ მიუთითებს, რომ ამგვარი გრაფიკის შედგენა აუცილებელია.

რეზოლუციაში არის პუნქტი, რომ გენერალური ასამბლეამ თავის 73-ე სესიაზე, ერთი წლის შემდეგ, უნდა წარადგინოს ყოვლისმომცველი მოხსენება აღნიშნული რეზოლუციის შესრულების თაობაზე.

რეზოლუცია არის დათქმა, რომ მომავალ 73-ე სესიის დღის წესრიგში შეტანილი იყოს პუნქტი: „გაჭიანურებული კონფლიქტები გუამის სივრცეში და მისი შედეგები საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის".

– ანუ ეს უკრაინასა და მოლდოვასაც შეეხება.

– უკრაინასაც ეხება, მოლდოვასაც და აზერბაიჯანსაც. დღის წესრიგში დადგება ამ სივრცეში კონფლიქტების არსებობა და მისი შედეგები რა პრობლემებს ქმნის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის. ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ ასეთი რეზოლუციები ადრეც გვინახავს, მსგავსი დღის წესრიგიც გვინახავს, თუმცა, სამწუხაროდ, საკითხი არ არის გადაწყვეტილი.

– როგორ ფიქრობთ, რატომ?

– რაღაცას ვაკლებთ. მეტი მუშაობაა საჭირო.

– რა კუთხით?

– იმ ქვეყნებთან მეტი უნდა ვიმუშაოთ, რომლებიც რატომღაც რეზოლუციას წინააღმდეგ აძლევენ ხმას. მოწინააღმდეგეებში კიდევ ისეთი ქვეყნები არიან, რომლებიც წინააღმდეგ ხმას არ უნდა აძლევდნენ. ამ მიმართულებით არის სამუშაო.

– ძალიან გამიკვირდა, როდესაც იმ ქვეყნების სიაში, ვინც წინააღმდეგ მისცა ხმა, ბელორუსი ვნახე. მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში ბელორუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში, თითქოსდა საქართველოს მიმართ ძალიან კეთილგანწყობილი გახლდათ, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს. თუმცა, ბელორუსმა დევნილების დაბრუნების წინააღმდეგ მისცა ხმა, სომხეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სომხეთი, მგონი, საქართველოს მეგობრობის სივრციდან გასულია.

– სომხეთთან უფრო მეტი სასაუბრო გვაქვს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან. თუმცა, აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ იმ პოლიტიკის ჩარჩოებში, რომელსაც ბელორუსი ახორციელებს, არ ჯდება გაეროს რეზოლუციებში ჩვენ წინააღმდეგ დაფიქსირებული ყოველწლიური – არა.

– სომხეთის არა?

– სომხეთი ოფიციალურად არა მარტო მეგობარი ქვეყანა და მეზობელია, არამედ დიდწილად დამოკიდებული ქვეყანაცაა. ეს არ არის უბრალო საკითხი. ამიტომ, ალბათ, ამ საკითხზე სერიოზულად უნდა ვისაუბროთ, ან სომხეთმა ამაზე გარკვეული პოლიტიკური სახადი უნდა გადაიხადოს.

ბელორუსი საქართველოზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ სომხეთი დამოკიდებულია. ამიტომ, კეთილი ინებოს და ეს გაითვალისწინოს. ყოველ შემთხვევაში, ხმის მიცემაზე თავი მაინც შეიკავოს ან კენჭისყრაში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღოს. სრული უფლება გვაქვს, სომხეთის სახელმწიფოს ამის გაკეთება მოვთხოვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემხვედრი ნაბიჯები გადავდგათ.

– ამბობთ, სომხეთმა ჩვენ წინააღმდეგ ხმის მიცემისთვის „სახადი" უნდა გადაიხადოსო. რა შეიძლება იყოს ეს სახადი?

– სხვადასხვა.

– მაგალითად?

– კარგად იცით, რომ სომხეთისთვის გარესამყაროსთან ერთადერთი დამაკავშირებელი საქართველოა. იგივე რუსეთი სომხეთს საქართველოს მეშვეობით უკავშირდება.

– თუმცა, დასაფიქრებელია ის, რომ შეიძლება რუსეთმა სომხეთსა და ბელორუსზე ზეწოლა მოახდინა.

– მესმის, მაგრამ ჩვენ არ ვამბობთ, რომ მაინცდამაინც ჩვენ მოგვცენ ხმა. თავი მაინც შეიკავე, შე დალოცვილო!.

– სომხეთან ვერ ვიმუშავეთ თუ რუსეთმა გვაჯობა?

– ამაზე ვერ გიპასუხებთ, რადგან ასეთი სიტუაცია წლიდან წლამდე გრძელდება. ან ვერ ვიმუშავეთ, ან ცუდად ვიმუშავეთ.

– ისე, ჩვენ რა სარგებელი გვაქვს, ფაქტობრივად, სომხეთისთვის როკის გვირაბიდან რუსეთთან დამაკავშირებელ გზას რომ ვხსნით ოკუპირებული ტერიტორიის გამოვლით? კვირიკაშვილის მთავრობა უკვე წავიდა, მაგრამ მის დროს ამას სახელმწიფო დათანხმდა, ანგარიში გაუწია სომხეთს. როგორც ჩანს, თვითონ სომხეთი ანგარიშს არ გვიწევს.

– დიახ, ეს პირადად ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. დარწმუნებული ვარ, ქართველი საზოგადოებისთვის ასეთი პოზიცია გაუგებარია. გვესმის, რომ სომხეთი რუსეთის მოკავშირე ქვეყანაა, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, მაგრამ, უმჯობესია, ასეთ ვითარებაში თავი შეიკავოს, როგორც ამას ზოგიერთი ქვეყანა აკეთებს.

ქვეყანაში კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი დაბალ მაჩვენებელზეა, თუმცა დიდი პერსპექტივები გააჩნია

– ობლიგაციების ბაზარი საქართველოში, – სწორედ ასე ეწოდება პრეზენტაციას, რომელიც დღეს „თიბისი კაპიტალმა“ თავისი კვლევის ანგარიშში მიმოიხილა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა იმ ტენდენციებსა და პერსპექტივებზე, რაც აღნიშნული მიმართულებით არსებობს. პრეზენტაციის მთავარი მესიჯი კი ასეთია – დღეს ობლიგაციების ბაზრის განვითარებას საკმაოდ დიდი პერსპექტივები აქვს.

უფრო ზუსტად, კორპორაციულმა ბაზარმა განვითარება 2014 წელს დაიწყო, როდესაც ეროვნულმა ბანკმა ადგილობრივ კომერციულ ბანკებს ნება დართო, გირაოს სახით ლარში წარედგინათ დენომინირებული კომერციული ობლიგაციები.

– ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული ბაზარი სწრაფად ვითარდება. აღსანიშნავია, რომ თუ წლების განმავლობაში კომპანიების დაფინანსების ძირითადი წყარო იყო სესხები, უკვე მოლოდინი გვაქვს, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში დაფინანსების წყარო მეტად დივერსიფიცირებული გახდება. დღეს ამის შესაძლებლობა კომპანიებს აქვთ ევროობლიგაციების სახით, ასევე შეუძლიათ საფონდო ბირჟებზე გამოუშვან ქართული ობლიგაციებიც. მომავალი 2-3 წლის განმავლობაში სფერო სავარაუდოდ უფრო გაიზრდება, – განმარტავს „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორი მამუკა ბუცხრიკიძე.

რაც შეეხება გამოწვევებს, როგორც კვლევაშია აღნიშნული, 2017 წლის მონაცემებით, საჯაროდ განთავსებულმა კორპორაციულმა ობლიგაციებმა ჯამში 232 მლნ. ლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 0.6 %-ია. დარგის სპეციალისტების თქმით, ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, თუმცა მიმდინარე ტენდენციებით უახლოეს მომავალში, ობლიგაციების ბაზარს აუცილებლად პოზიტიური განვითარება ექნება.

– სხვა ქვეყნებთან შედარებით ნამდვილად დაბალი მაჩვენებელია და მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველო აღნიშნული მიმართულებით განვითარებადი ბაზარია. თუმცა აქვე უნდა ვახსენოთ ბოლო პერიოდში სფეროს გააქტიურების საკითხიც. ფაქტია, უკვე მუშაობა რამდენიმე ტრანზაქციაზე ვრცელდება, რაც 2018 წელს ბაზრის მოცულობას დაახლოებით 150 მლნ. ლარით გაზრდის, – განმარტავს „თიბისი კაპიტალის“ დირექტორი ირაკლი ელაშვილი.

ობლიგაციების ბაზრის ხელშეწყობის მიმართულებით, სპეციალისტები რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას, მათ შორის ერთ-ერთი საპენსიო რეფორმაა. როგორც „თიბისი კაპიტალის“ გუნდი ვარაუდობს, საპენსიო რეფორმების შედეგად ქვეყანაში გაჩნდება გრძელვადიანი ლარი, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია ზოგადად კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის.

– საპენსიო რეფორმის შედეგად მოხდება ამ ფონდის დაახლოებით 4%-ის განთავსება ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში. საშუალოვადიან პერსპექტივაში კი, სავარაუდოდ, მოხდება კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის 1 მლრდ. ლარამდე ზრდა. გარდა ამისა, სფეროს განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია არსებული საგადასახადო შეღავათები. მოგეხსენებათ, წლის დასაწყისში ამოქმედებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ დალისტურ საჯარო ობლიგაციებში ინვესტირება გაათავისუფლა რამდენიმე გადასახადისგან, – აღნიშნავს ირაკლი ელაშვილი.

კაპიტალის ბაზრის, ზოგადად, კონკრეტულად კი ობლიგაციების ბაზრის განვითარებისთვის გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები რომ მნიშვნელოვანია, ამ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს საფონდო ბირჟის გენერალური დირექტორი გიორგი ფარესიშვილიც. მისი თქმით, „თიბისი კაპიტალის“ მიერ ჩატარებული კვლევა და მსგავსი პრეზენტაციების შედეგად კომპანიებისთვის წვდომა კაპიტალზე გამარტივდება და კაპიტალიც გაიაფდება.

– საფონდო ბირჟა მხარს უჭერს ბაზრის მონაწილეებს. შარშან გვქონდა ოთხმაგი, ანუ 300%-იანი ზრდა, მათ შორის კონკრეტული ობლიგაციების მოცულობებში. გასულ წელს ვიხილეთ ახალი ობლიგაციებიც „სილქნეტის“, „მ2“-ის, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ სახით და ა.შ. წელს ველოდებით, რომ ეს რიცხვი უნდა გაიზარდოს. უფრო ზუსტად, ხუთი ახალი ობლიგაცია დაემატება საფონდო ბირჟას. ერთ-ერთი მათგანია ელექტროენერგიის სექტორი. საბოლოოდ, ეს ყველაფერი განავითარებს კაპიტალის ბაზარს ქვეყანაში, – განმარტავს ფარესიშვილი.

კომერსანტი

2018 წელს პასუხისმგებლობა 116 ექიმს დაეკისრა

2018 წლის 5 თვეში პროფესიული პასუხისმგებლობა 116 ექიმს დაეკისრა, აქედან 2-ს კი, სახელმწიფო სერთიფიკატი გაუუქმდა. ეს მაშინ, როდესაც კლინიკებში ჩატარებული ოპერაციების შემდგომ გარდაცვლილი პაციენტების უმეტესობა მომხდარში ექიმს ადანაშაულებს.

ექიმებს ადანაშაულებენ მაშინაც, თუ დანიშნული მკურნალობა შედეგს არ გამოიღებს.

2018 წლის 16 იანვარს ხაშურის ცენტრალურ საავადმყოფოში 41 წლის ქალბატონი გარდაიცვალა. ოჯახის წევრებმა მომხდარში ექიმები დაადანაშაულეს. 2018 წლის 10 აპრილს, ბათუმში გაკეთებული საკეისრო კვეთა საბედისწერო აღმოჩნდა 26 წლის ქალბატონისთვისაც. საკეისროს შემდეგ გოგონა კომაში ჩავარდა, რამდენიმეკვირიანი უგონო მდგომარეობის შემდეგ კი გარდაიცვალა. ახლობლები მომხდარში ექიმებს ადანაშაულებენ.

2018 წლის 27 მაისს თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში 53 წლის ქალი გარდაიცვალა. ამ შემთხვევაშიც ოჯახი მომხდარზე პასუხისმგებლობას ექიმებს აკისრებს. ეს იმ ფაქტების მცირე ჩამონათვალია, როდესაც კლინიკაში გარდაცვლილი პაციენტების ახლობლები მომხდარში ექიმებს ადანაშაულებენ. ყველა ამ და სხვა ფაქტს ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების საგენტო სწავლობს.

უწყების მიერ „ბიზნეს-პრესნიუსისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის 1-ელი ივნისის მდგომარეობით, პროფესიული განვითარების საბჭომ 116 ექიმს დააკისრა პროფესიული პასუხისმგებლობა. მათივე ინფორმაციით, 2017 წელს და 2018 წელს შემოსული საჩივარი/განცხადების შესწავლის საფუძველზე 2 ექიმს გაუუქმდა სახელმწიფო სერთიფიკატი, 11 ექიმს სხვადასხვა ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერთიფიკატის მოქმედება.

რაც შეეხება 2017 წელს, სააგენტოს მონაცემებით, შარშან პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ, 300 ექიმს დაეკისრა პროფესიული პასუხისმგებლობა. აქედან, 2017 წელს შემოსულისაჩივარი/განცხადების შესწავლის საფუძველზე, 17 ექიმს სხვადასხვა ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერთიფიკატის მოქმედება.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ჯანდაცვის პოლიტიკისა და მართვის სპეციალისტის სერგო ჩიხლაძის განცხადებით, რეალურად რამდენი სამედიცინო გადაცდომაც ხდება, ყველა შემთხვევაზე განცხადება რომ შედიოდეს, ეს მაჩვენებელი გაცილებით დიდი იქნებოდა.

– თუ შევხედავთ, ჩვენთან როგორ დაბალია მომსახურების ხარისხი, ექიმთა კვალიფიკაცია და ა.შ. – ექიმების გადაცდომის ყველა შემთხვევაზე რომ საჩივარი იწერებოდეს, ეს რიცხვი გაცილებით დიდი იქნებოდა.

რაც შეეხება 2018 წელს, თუ 5 თვეში 116 შემთხვევაა, შეიძლება შემდეგ თვეებში ეს ორჯერ მეტი იყოს, ან პირიქით. ამიტომ, წლიურ სტატისტიკას თვეებით ვერ განვსაზღვრავთ. თუმცა, ნიშანდობლივია ის, რაც თქვენ მითხარით, რომ ამ პერიოდში 2 ექიმს გაუუქმდა სახელმწიფო სერთიფიკატი. თუ წინა წლებში 300 შემთხვევა იყო, ძირითადად იფარგლებოდნენ გაფრთხილებით ან ლიცენზიის დროებით შეჩერებით. ექიმისთვის ლიცენზიის ჩამორთმევა კი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არ მომხდარა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში რეაგირება გამკაცრებულია, – აცხადებს სერგო ჩიხლაძე.

რაც შეეხება გამოსავალს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ამბობს, რომ პრევენციისთვის ლიცენზიის გაუქმება საკმარისი არ არის, რადგან ეს უკვე ფატალური შედეგის შემდეგ ხდება.

– ლიცენზიის დროებით ან სამუდამოდ შეჩერება, უკვე პოსტ ფაქტუმ ხდება, როდესაც ექიმის ან პერსონალის მხრიდან გადაცდომას ჰქონდა ადგილი. თუმცა, პრევენცია ექიმების კვალიფიკაციის ამაღლებას, გადამზადებას, ხარისხიანი სერვისების მიწოდებას, ასევე, კონკურენტული გარემოს შექმნასაც გულისხმობს. რაც ჩვენს სამედიცინო ბაზარზე, სამწუხაროდ, არ არის. ბევრი კომპლექსური და სისტემური პრობლემაა დაგროვილი და მხოლოდ სანქციები (რაც, რა თქმა უნდა, აუცილებელია) საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ პრევენციულად გადაიდგას ნაბიჯები, რათა რაც შეიძლება ნაკლები იყოს ასეთი შემთხვევები, – აცხადებს სერგო ჩიხლაძე.

ბპნ

სასაკლაოების კონკურენტუნარიანობაზე გავლენას შესაბამისი მოწყობილობის უქონლობა ახდენს

2017 წელს საქართველოში 104 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა. მათგან 19,3% მდებარეობს ქვემო ქართლში, 15,4% – კახეთში, 14,4% – იმერეთში, 14,4% – შიდა ქართლში, 10,6% – სამეგრელო-ზემო სვანეთში, 5,8% – აჭარაში, 4,8% – თბილისში, 4,8% – მცხეთა-მთიანეთში, ხოლო დანარჩენი 10,6% – სხვა რეგიონებშია განთავსებული:

„საქსტატის“ მიერ გავრცელებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში 2017 წელს მოქმედ სასაკლაოებში დღის განმავლობაში მაქსიმუმ 41.359 ერთეული პირუტყვისა და ფრინველის დაკვლა იყო შესაძლებელი (ნაკლავის შესაძლო მაქსიმალური დღიური მოცულობა).

2017 წლის განმავლობაში, სასაკლაოებში დაკლულია 616,2 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 35,0% მსხვილფეხა, ხოლო 65,0% – წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 10.050,8 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ, 2017 წლის განმავლობაში 42.105,3 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 42,0% მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 34,4% – ფრინველის, 13,9% – ღორის, 9,6% – ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო სხვაზე პროცენტული მაჩვენებელი უმნიშვნელოა და შეადგინა 0,1%.

2017 წლის განმავლობაში დაკლული პირუტყვიდან 6.039,2 ტონა შესყიდული იყო სასაკლაოს მიერ, საიდანაც 57,8 მოდის თხისა და ცხვრის ხორცზე, 23,5% მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, ხოლო 18,7% – ღორის ხორცზე. ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლა – 23,9 ლარი, ცხვრის ან თხის დაკვლა – 9,6 ლარი, ხოლო ღორის დაკვლა – 20,5 ლარი. 2017 წლის განმავლობაში, სასაკლაოებში მომსახურება გაეწია 70,4 ათასი ერთეულით.

სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალოთვიურმა რაოდენობამ 1060 კაცი შეადგინა. სასაკლაოების უმრავლესობა (50,0%) სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, 43,3% აღჭურვილია ნაწილობრივ, ხოლო 6,7% არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით. სასაკლაოების 65.4% არ სარგებლობს სესხით, ხოლო 34,6%-ს აღებული აქვს სესხი სხვადასხვა მიზნით: 75,0% – ძირითადი კაპიტალის შეძენისთვის, ხოლო 25,0%-ს საბრუნავი კაპიტალისათვის.

სასაკლაოების 27,6% პირს, საიდანაც 38,9% შინამეურნეობებს (ოჯახურ მეურნეობებს) წარმოადგენდნენ.

სასაკლაოების 20,7% მნიშვნელოვან ფაქტორად კომუნალური გადასახადების სიდიდეს ასახელებს, 16,4% – თანამშრომელთა კვალიფიკაციას, 11,4%-ის აზრით, კონკურენტუნარიანობაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს ფინანსურ რესურსებზე სუსტი ხელმისაწვდომობა, 8,4%-ის აზრით კი – მომსახურებაზე დაბალი მოთხოვნა, 8,3%-ის აზრით – სახელმწიფო გადასახადების სიდიდე და 7,2% -ის აზრით სუსტი კავშირი მწარმოებლებთან.

კომერსანტი

სამაცივრე მეურნეობების 23,1% თვლის, რომ გავლენას კონკურენტუნარიანობაზე შესაბამისი მოწყობილობის უქონლობა ახდენს



2017 წელს საქართველოში 73 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლსა (26,0%) და ქვემო ქართლში (21,9%) იყო განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობების 13,7 მდებარეობს ქ. თბილისში, 12,3% იმერეთის რეგიონში, 11,0% – სამეგრელო-ზემო სვანეთში, 8,2% კახეთში, ხოლო დარჩენილი 6,9% – სხვა რეგიონებშია განთავსებული:

„საქსტატის“ მიერ გავრცელებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2017 წლის განმავლობაში სამაცივრეებში მომსახურება გაეწია 678 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია, 353 ერთეულს წარმოადგენს, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალო წლიურმა რაოდენობამ 1.062 კაცი შეადგინა. 2017 წლის განმავლობაში, მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 282,5 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 65,0%-ს წარმოადგენდა ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 13,7% მოდიოდა ხორცზე და ხორცპროდუქტებზე (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 8,4% – თევზზე, 1,9% რძის პროდუქტებზე, 4,3% – ხილსა და ხილბოსტნეულზე, ხოლო დანარჩენ პროდუქციაზე 6,6%.

სამაცივრე მეურნეობების მიერ, შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2017 წლის განმავლობაში შესყიდულია 12,5 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს – 14,1 მლნ ლარი შეადგინა. 2017 წლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 101,0 მლნ ლარის ღირებულების (25,3 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (56,3%) იყო ადგილობრივი (საკუთარი წარმოების). ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 93,6% მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის 93,0% მოდიოდა ხილზე და ბოსტნეულზე.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან 6,6% უცხოურ ბაზარზე იქნა რეალიზებული, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ხილი და ბოსტნეული წარმოადგენდა (93,3%). გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიურმა დატვირთვამ (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) 34,0% შეადგინა იანვარში, 35,2% -თებერვალში, 31,8% – მარტში, 35,7% – აპრილში, 37,6% – მაისში, 37,6% – ივნისში, 36,2% – ივლისში, 38,3% – აგვისტოში, 41,1% – სექტემბერში, 44,8% – ოქტომბერში, 42,3% – ნოემბერში და 38,0% – დეკემბერში.

სამაცივრე მეურნეობების 50,7% თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია ნაწილობრივ, 45,1% – სრულად, ხოლო 4,2% საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით. სესხით სარგებლობს სამაცივრე მეურნეობების მხოლოდ 39,7%. აქედან, 17,3%-ს სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებულის გაუმჯობესების მიზნით), 44,8%-ს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 37,9%-ს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.

სამაცივრე მეურნეობების 23,1% თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონკურენტუნარიანობაზე შესაბამისი მოწყობილობის/ტექნოლოგიის უქონლობა ახდენს.

21,4%-ის აზრით, კონკურენტუნარიანობაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს ფინანსურ რესურსებზე სუსტი ხელმისაწვდომობა, 13,1% – სუსტ კავშირს მწარმოებლებთან, 12,5% – მომსახურებაზე დაბალ მოთხოვნას, 11,2% ამის მთავარ მიზეზად მიიჩნევს სახელმწიფო გადასახადების სიდიდეს, 9,8% – კომუნალური გადასახადების სიდიდე და 8,9% – თანამშრომელთა კვალიფიკაციას.

კომერსანტი

ივანიშვილის ხის ტრანსპორტირებისას, ქობულეთის სოფელ მუხაესტატეს პოლიციის უფროსი მოკლეს

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეს პოლიციის უფროსი ბუტა ანთაძე მოკლეს. შემთხვევა წუხელ მოხდა. პოლიციის უფროსი ერთმა პირმა მაშინ დაჭრა, როდესაც სოფელ ცეცხლაურის გავლით ბიძინა ივანიშვილის ხის ტრანსპორტირება მიმდინარეობა. ადგილობრივების თქმით, პოლიცია ხის გადატანის პროცესს აკონტროლებდა, რა დროსაც ერთი პირი პოლიციის თანამშრომელს ზურგიდან მიეპარა და სასიკვდილო დაზიანება მიაყენა. ანთაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

წარსულში ნასამართლევი 27 წლის მამაკაცი, რომელმაც ბუტა ანთაძეს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, დაკავებულია.

შსს-ს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ქობულეთის სოფელ მუხაესტატეს პოლიციის განყოფილების უფროსის მკვლელობასთან დაკავშირებით, „ნიუპოსტისთვის“ დამატებითი დეტალები ხდება ცნობილი.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, ბუტა ანთაძესა და მკვლელობაში ბრალდებულს შორის, წლების განმავლობაში უთანხმოება არსებობდა.

დაკავებულის მეგობარი აცხადებს, რომ წლების წინ პოლიციის განყოფილების უფროსმა ახალგაზრდა დაიჭირა.

ამასთან, ადგილობრივების ინფორმაციით, დაპირისპირების მიზეზი სოფლის ცენტრში ახალგაზრდა ბიჭების თავშეყრის აკრძალვაც იყო.

– 2-3 წლის წინ ანთაძემ ბრალდებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მუხლით დააკავა და მას შემდეგ მათ შორის დაძაბული ურთიერთობა იყო. გუშინ ხე გადაჰქონდათ, ბრალდებული სამ პოლიციელს გასცდა და დანა პირდაპირ გულში ჩაარტყა, პოლიციელებმა დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ბრალდებული ადგილზე დააკავეს, – აცხადებს „ნიუპოსტთან“ ერთ-ერთი ადგილობრივი.

– ეს ნაცემი ბიჭი, ბიძაშვილთან ერთად, შიმშილობის აქციას აწყობდა. ამ პოლიციელმა სცემა ეს ბიჭი. რამდენი განცხადება დაიწერა მის გადაყვანაზე, მაგრამ არ გადაიყვანეს, არ მოგვაცილეს. თუკი ვინმე ცხოვრობს აქ, უკმაყოფილო იყო ყველა. ავიწროებდა მთელ ახალგაზრდებს, ცენტრში არ მოხვიდეთ და არ დადგეთო, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფენ მოკლული პოლიციელის ახლობლები.

– არანაირი კონფლიქტური პიროვნება არ იყო, სიმართლის მოყვარული კაცი იყო და ყველანაირად გვერდში ედგა სახელმწიფოს და ხალხს, – ამბობს მოკლული ბუტა ანთაძის ბიძაშვილი.

ბათუმში 4 წლის გოგონას მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ უზბეკეთის მოქალაქეს პატიმრობა შეეფარდა

ბათუმში 4 წლის გოგონას მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ უზბეკეთის მოქალაქეს პატიმრობა შეეფარდა. ბათუმის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი გრატიაშვილმა მიიღო.

როგორც ბრალდებულის ადვოკატი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი დუმილის უფლებას იყენებს. ბრალდების მხარე კი დღევანდელ პროცესზე საქმის დამამძიმებელი გარემოებებიდან გამომდინარე აღნიშნული პირის პატიმრობაში დატოვებას ითხოვდა.

ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე, ერთ-ერთ დასახლებაში 4 წლის გოგონა დედის მეგობარმა, სავარაუდოდ, ცემის შედეგად მოკლა. გარდაცვლილი ბავშვის ცხედარი პოლიციის განყოფილებაში მიიტანა და სამართალდამცველებს ჩაბარდა.

ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის საქმე — ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. სამართალდამცავებს პატიმრობა შეეფარდათ

არჩილ ტატუნაშვილის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ჯგუფურად წამებაში დახმარებისთვის, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს – დავით გურწიევს და ალეკ ტაბოევს პატიმრობა შეეფარდათ.

საქმეზე სასამართლო პროცესი მცხეთის სასამართლოში გაიმართა. მოსამართლემ ოკუპირებული ახალგორის ე.წ. სამართალდამცველებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე იმსჯელა.

მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა დავით გურწიევისა და ალეკ ტაბოევისთვის პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

მათ ბრალი დაუსწრებლად აქვთ წარდგენილი. ისინი სასამართლო პროცესს არ ესწრებოდნენ.

თბილისში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

თბილისში 31 წლამდე მამაკაცი მოკლეს. ადგილობრივებმა გარდაცვლილი გლდანის მე-4 მიკრორაიონში იპოვეს.

წინასწარი ინფორმაციით, კონფლიქტი სხვა მიკრორაიონში მოხდა, რა დროსაც მამაკაცი დაჭრეს, დაჭრილი კი მე-4 მიკრორაიონში მივიდა და გარდაიცვალა.

ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

უწყების ცნობით, დანაშაულის ჩამდენი პირის იდენტიფიცირებისა და დაკავების მიზნით, მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები.

კალეიდოსკოპი

შვილმა მამა მდიდრულ ყველგანმავალში დაასაფლავა

ნიგერიელმა, სახელად აზუბუიკემ, საკუთარი გარდაცვლილი მამა სასახლის მაგივრად ახალ ავტომობილში ჩაასვენა და დაასაფლავა.

მდიდარმა შვილმა ამ მიზნისთვის ახალთახალი ბმვ-ე 66 ათას ფუნტ სტერლინგად ადგილობრივ ავტოსალონში შეიძინა. აზუბუიკე სიცოცხლეში მამას სწრაფი ავტომობილის ჩუქებას ჰპირდებოდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ამიტომ გადაწყვიტა, რომ მამისთვის პატივი ასეთი უჩვეულო სახით ეცა.

დასაფლავების ფოტოსურათმა ვირუსული პოპულარობა მოიპოვა და უსწრაფესად გავრცელდა სოციალურ ქსელებში. ბევრმა ინტერნეტმომხმარებელმა პირველად ნახა, რომ კუბოს ნაცვლად მიწაში მდიდრულ ყველგანმავალს ფლავდნენ, რომელშიც მიცვალებული ესვენა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ინტერნეტმომხმარებელი აღაშფოთა დასაფლავებაში ასეთი თანხის გადახდამ. მათი აზრით, ასეთი თანხის უკეთესად განკარგვა შეიძლებოდა.

– თუ სოლიდური შემოსავალი გაქვთ, მშობლებს მანქანა სიცოცხლეში უყიდეთ, გარდაცვალების შემდეგ კი სასახლეში ჩაასვენეთ და ისე დაასაფლავეთ. ეს კი, უბრალოდ, სისულელეა, – განაცხადეს ნიგერიელმა კომენტატორებმა. ნაწილმა კი აზუბუიკეს უგუნური ეგოისტი უწოდა.

ჩინელმა ქალმა სახლში დაბრუნების შემდეგ აღმოაჩინა, რომ გარდაცვლილი ყოფილა

ჩინეთში სამუშაოდ წასულმა ქალმა მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდეგ აღმოაჩინა, რომ მეუღლემ ის გარდაცვლილად გამოაცხადა, რათა სხვა ქალზე დაქორწინებულიყო.

როდესაც ლიუ გოცინი სიჩუანის პროვინციის ქალაქ დაჩუოუში რამდენიმე წლის არყოფნის შემდეგ დაბრუნდა, შეიტყო, რომ მისი ჩაწერა გაუქმებული იყო. უფრო მეტიც, პოლიციაში მას უთხრეს, რომ ის 2015 წელს ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა, ხოლო 2017 წელს მისი გარდაცვალების მოწმობა გაიცა.

ლიუს თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ის ხუნანის პროვინციაში იმყოფებოდა სამუშაოდ, მას ოჯახთან კონტაქტი არ გაუწყვეტია. ის ეჭვობს, რომ მეუღლემ იმის გამო გამოაცხადა ის გარდაცვლილად, რომ სხვა ქალზე სურდა დაქორწინება. ლიუ 1995 წელს გათხოვდა და მეუღლესთან ორი შვილი ჰყავდა, თუმცა 2006 წლიდან ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და ახლო ურთიერთობა აღარ ჰქონიათ.

პოლიციელების თქმით, ქალის გარდაცვალების თაობაზე წერილობითი განცხადება მისმა მეუღლემ და მამამ წარადგინეს, რომელსაც შემდეგ ხელი სოფლის მამასახლისმა მოაწერა. ლიუს მამა განცხადებაზე ხელის მოწერას უარყოფს, ხოლო მამასახლისი აცხადებს, რომ ის სულ ორი წელია, ამ თანამდებობაზე იმყოფება, ერთხელაც არ უნახავს ლიუ და ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი ქმარი ატყუებდა.

სოფლელებმა დაადასტურეს, რომ ქალის ქმარმა სხვაზე იქორწინა, რომელიც ერთ-ერთი მეზობელი სოფლიდანაა. ლიუს ოჯახმა მათთან დაკავშირება ვერ მოახერხა.

მომზადა კახა ხატიაშვილმა

ჭოროხში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

მდინარე ჭოროხში საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველებმა გაუჩინარებული მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ფოთში საცხოვრებელი სახლი დაიწვა

ფოთში, ათონელის ქუჩაზე საცხოვრებელ სახლი დაიწვა. შემთხვევის შედეგად დამწვარია საყოფაცხოვრებო ნივთები და ტექნიკა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნივთის დაზიანებას ან გაუფრთხილებლობით განადგურებას გულისხმობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

გოგონამ თვალები ცისფერი საღებავით შეიღება და დროებით დაბრმავდა

სვირინგებით გატაცებულმა ავსტრალიელმა გოგონამ 10 ათასი დოლარი დახარჯა საკუთარი სხეულის მოდიფიკაციაზე.

23 წლის ემბერ ლიუკმა, ავსტრალიის ქალაქ სენტრალ კოსტიდან სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე 50 სვირინგი გაიკეთა. ასევე მან თვალების თეთრი ნაწილი ცისფერი პიგმენტებით შეიცხო. ამ პროცედურის შემდეგ მეგობრებმა გოგონას „ცისფერთვალება თეთრი დრაკონი“ უწოდეს.

– პროცედურა სულ 40 წუთს გაგრძელდა. ის ძალიან დაძაბული და მტკივნეული იყო. იძულებული ვიყავი თვალები გახელილი მქონოდა, სანამ ოსტატი თითოეულ თვალში ოთხ-ოთხ ინექციას გამიკეთებდა. ამის შემდეგ სამი კვირის განმავლობაში სრულიად დაბრმავებული ვიყავი, – განაცხადა გოგონამ.

სვირინგების მოყვარულმა ავსტრალიელმა პოპულარობა ინსტაგრამში მოიხვეჭა. ამ დროისთვის მის აკაუნტს სოციალურ ქსელში 22 ათასი ხელმომწერი ჰყავს.

ჩვილმა მუხლუხო შეჭამა და საავადმყოფოში აღმოჩნდა

კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის ქალაქ ნანაიმოში, რვათვის გოგონას მის მიერ შეჭმული მუხლუხოს გამო ქირურგიული ოპერაციის გაკეთება დასჭირდა.

მუხლუხო გოგონას პირში შემთხვევით იმ დროს აღმოჩნდა, როდესაც ის აივანზე ნამცხვარს ჭამდა. დედას ბავშვის ყვირილის ხმა შემოესმა და მის დასახმარებლად გაიქცა. მან გოგონას პირში რაღაც შავი შენიშნა და შეეცადა მისთვის პირი გამოეწმინდა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. ქალი შეშინდა და ბავშვი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმმა ბავშვის პირში მუხლუხოს ნარჩენები აღმოაჩინა. მისი ბეწვები ენაზე იყო მიკრული, ხოლო საცეცები ლოყაზე. მათ მოსაცილებლად ქირურგის დახმარება გახდა აუცილებელი. გოგონამ ის ღამე საავადმყოფოში გაატარა, სახლში კი მეორე დღეს დააბრუნეს.

ამერიკელს გველის მოჭრილმა თავმა უკბინა

ამერიკის ტეხასის შტატის მცხოვრებს მის მიერ ჩხრიალა გველისთვის მოჭრილმა თავმა უკბინა.

მამაკაცი საკუთარ ბაღში მუშაობდა, როდესაც ერთ მეტრამდე სიგრძის შხამიანი გველი შენიშნა. მან ქვეწარმავალს ნიჩაბი ჩასცხო და თავი მოაჭრა, ხოლო, როდესაც მან გველის ნარჩენები აიღო, რათა ისინი თავიდან მოეშორებინა,

რეპტილიის თავმა მას უკბინა. მამაკაცის მეუღლე შეეცადა ქმარი საავადმყოფოში საკუთარი მანქანით გადაეყვანა, მაგრამ, როდესაც მას კრუნჩხვები დაეწყო, სასწრაფო გამოიძახა. საბოლოოდ მამაკაცი საავადმყოფოში შეუულმფრენით გადაიყვანეს.

ექიმმა-ტრავმატოლოგმა მაიკლ ჰალპერმა აღნიშნა, რომ გველის კბენის შედეგად მის ორგანიზმში მოხვედრილი შხამის რაოდენობა საკმარისი იყო იმისთვის, რომ მამაკაცი დაღუპულიყო, მაგრამ ის იმან გადაარჩინა, რომ შხამის საწინააღმდეგო წამლის 26 დოზა შეუყვანეს ორგანიზმში. ექიმის შეფასებით, ამჟამად მამაკაცის მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ მისი თირკმელები ამ დრომდე ცუდად ფუნქციონირებენ.

– ეს კლასიკური შეცდომაა. ადამიანებს არ ესმით, რომ ძუძუმწოვრები და რეპტილიები სხვადასხვაგვარად არიან მოწყობილები, – განმარტა ტოქსიკოლოგმა ლესლი ბოიერმა. მისი თქმით, გველის მოჭრილი თავი, ისევე, როგორც მისი დანარჩენი სხეული, დაახლოებით კიდევ 12 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს და მოწინააღმდეგეზე თავდასხმაც კი შეუძლია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პუტინმა პაშინიანი და ალიევი ერთმანეთს შეახვედრა



რუსეთი ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. მის გახსნაზე სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებიც დაპატიჟეს. ალიევიცა და პაშინიანიც პუტინს პირადად შეხვდნენ.

ნიკოლ პაშინიანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩთან ახლო მეგობრული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. პუტინი პირდაპირი კაცია და ყველაფერზე გულახდილად ვისაუბრეთო.

– სომხეთი და რუსეთი სუვერენული სახელმწიფოები არიან! ჩვენ უამრავი საერთო ინტერესი გვაქვს, – თქვა პაშინიანმა.

სომხეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ პუტინთან მოლაპარაკების უმთავრესი თემა ყარაბაღის კონფლიქტი იყო. პუტინმა თავის კაბინეტში ის შეახვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს.

– ჩვენ ერთმანეთს პუტინის კაბინეტში შევხვდით, რასაც ნამდვილად არ მოველოდი. ალიევთან შეხვედრა არ იყო დღის წესრიგით გათვალისწინებული, – თქვა სომხეთის პრემიერმა.

ამრიგად, რუსეთის პრეზიდენტმა ფრიად მოულოდნელი სვლა გააკეთა. მან სომხეთ-აზერბაიჯანის ლიდერები ერთად დასხა. ამან შედეგი არ გამოიღო. მართალია, პუტინის წინადადებას, რომ ყარაბაღის კონფლიქტი უნდა დამთავრდეს, ორივე დაეთანხმა, მაგრამ ეს ალიევსა და პაშინიანს სხვადასხვანაირად ესმით. აზერბაიჯანის ლიდერმა აღნიშნა, რომ სომხეთმა აზერბაიჯანის ტერიტორიის დიდი ნაწილის ოკუპაცია მოახდინა და კონფლიქტიც მაშინ დასრულდება, როცა სომხები თავის არმიას გაიყვანენ.

პაშინიანმა კონფლიქტის მოგვარების საკუთარი გეგმა წამოაყენა. მან განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა დე ფაქტოდ უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს და, შესაბამისად, მოლაპარაკებებშიც, როგორც კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე, უნდა მონაწილეობდეს.

ალიევმა ამაზე უპასუხა, რომ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა კვაზისახელმწიფოა, რომელიც ოკუპაციის შედეგად შეიქმნა.

შეხვედრა დასრულდა. მან სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს კიდევ უფრო დააშორა.

მაიკ პომპეო ჩინეთში ჩავიდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ჩინეთში ჩავიდა. ის ამ ქვეყნის ლიდერ სი ცზინპინს შეხვდა.

პომპეომ მას სინგაპურის სამიტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

– ბატონი ტრამპისა და სი ცზინპინის შეხვედრა წარმატებით დასრულდა. ამაში თავიანთი წვლილი ჩვენმა ჩინელმა პარტნიორებმაც შეიტანეს, რისთვისაც მსურს, მათ მადლობა გადავუხადო, – თქვა პომპეომ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ჩრდილოეთ კორეის დენუკლეარიზაცია მხოლოდ საწყის ფაზაშია. წინ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი.

ევროპარლამენტმა რუსეთს სანქციები გაუგრძელა

ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია რუსეთისთვის სანქციების გაგრძელების თაობაზე. მიზეზი უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია და კინორეჟისორ ოლეგ სენცოვის უკანონო პატიმრობაში ყოლაა. უკრაინელ რეჟისორს ტერორიზმის ყალბი ბრალდებით ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს.

რუსეთისთვის სანქციების გაგრძელებას მხარი 485-მდე დეპუტატმა დაუჭირა. წინააღმდეგი იყო 76.

შუა აზიის რესპუბლიკების საზღვრებთან მდგომარეობა იძაბება

ავღანეთ-შუა აზიის რესპუბლიკების საზღვარზე ვითარება იძაბება. ავღანეთის მხრიდან საზღვართან კონცენტრირებულია როგორც „თალიბანის“, ასევე ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკთა დიდი ძალები. მკვეთრად გაიზარდა საზღვრის დარღვევის მცდელობები, ასევე ნარკოტიკების ბრუნვაც.

შუა აზიის რესპუბლიკების უმრავლესობაში (თურქმენეთის გარდა) რუსეთის გავლენა დიდია. იქაური ხელისუფლებაც მთავარ იმედს რუსეთის მხრივ დახმარებაზე ამყარებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ოდესის ოლქში პოლიციამ ტრეფიკინგის მსხვერპლი 30-მდე ადამიანი გაათავისუფლა

უკრაინაში, ოდესის ოლქის ოვიდიოპოლის რაიონში, პოლიციამ ტრეფიკინგის მსხვერპლი 30-მდე ადამიანი გაათავისუფლა. ამის შესახებ უკრაინის ეროვნული პოლიციის ხელმძღვანელმა სერგეი კნიაზევმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

„30-მდე ადამიანი მათი ნების საწინააღმდეგოდ გამოკეტილი ჰყავდათ და უფასოდ ამუშავებდნენ. მათზე ხორციელდებოდა ფიზიკური და მორალური ზეწოლა. ტრეფიკინგის მსხვერპლთა შორის არის 8 თვის ფეხმძიმე ქალი, რომელიც ამ პერიოდში არასდროს ყოფილა ექიმთან“, – წერს კნიაზევი.

ავღანეთში პაკისტანელი თალიბების ლიდერი მოკლეს

ავღანეთისა და პაკისტანის საზღვარზე, აშშ-ის ავიაციის დარტყმის შედეგად, რადიკალური მოძრაობა „თეჰრიკ-ე თალიბან პაკისტანის“ ლიდერი მულა ფაზლულა ლიკვიდირებულია.

ავიადარტყმა უპილოტო საფრენმა აპარატებმა განახორციელეს. მულა ფაზლულას გარდა, ოპერაციას დაჯგუფების კიდევ ოთხი საველე მეთაური ემსხვერპლა.

მიმდინარე წლის მარტში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოძრაობა „თეჰრიკ-ე თალიბან პაკისტანის“ 3 ტერორისტის შესახებ ინფორმაციის სანაცვლოდ 11 მილიონი დოლარის ოდენობის ჯილდო დააწესა, მათ შორის 5 მილიონი დოლარი პირადად მულა ფაზლულას დაკავებისთვის სასარგებლო ინფორმაციის სანაცვლოდ.

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სილამაზის სალონს ესაჭროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგგარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

რა და ვინ ელის ქართულ კლუბებს ევროტურნირებზე

მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას საქმე ქართველ გულშემატკივრებსაც ექნებათ. ჯერ ერთი, ეროვნული ჩემპიონატი მიმდინარეობს პარალელურად, მეორეც – ევროტურნირების წილისყრა გაიმართება. 19-20 ივნისს შევიტყობთ იმ კლუბების ვინაობას, რომლებიც ჩემპიონთა და ევროპა ლიგაზე ჩვენს წარმომადგენლებს გაუწევენ მეტოქეობას.

დავიწყოთ საქართველოს ჩემპიონით: ქუთაისის ტორპედო 19 ივნისს შეუწყვილდება რომელიმე ევროპულ გუნდს. ჩემპიონთა ლიგაზე ტორპედო პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება და განუთესავი იქნება. მისი პოტენციური მეტოქეების სია საკმაოდ შთამბეჭდავია:

აპოელი (კვიპროსი), ჰაპოელი ბეერ-შევა (ისრაელი), ლუდოგორეცი (ბულგარეთი), ყარაბახი (აზერბაიჯანი), სელტიკი (შოტლანდია), ცრვენა ზვეზდა (სერბეთი), რუსენბორგი (ნორვეგია), მალმიო (შვედეთი), შერიფი (მოლდოვა), კუკეში (ალბანეთი), ვიდეოტონი (უნგრეთი), ასტანა (ყაზახეთი), ზრინსკი (ბოსნია), ნიუ საინთსი (უელსი), ჰიკი (ფინეთი).

ტორპედო პირველ მატჩს 10 ან 11 ივლისს გამართავს.

როინ კვასხვაძე, ტორპედოს კაპიტანი:

– ჩემპიონთა ლიგა განსაკუთრებული ტურნირია, რომელსაც განსაკუთრებული მომზადება სჭირდება. საქართველოს ჩემპიონები ვართ, რაც გვავალდებულებს, ჩვენი ქვეყნის ღირსება დავიცვათ. ევროსეზონამდე მცირე დრო რჩება და იმედია, ამ პერიოდში ტორპედო შემადგენლობის გაძლიერებას მოასწრებს. რაც შეეხება სავარაუდო მეტოქეებს, ყველა მათგანი თავისი ქვეყნის ჩემპიონია და შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში, მაღალი კლასის გუნდთან გვექნება საქმე. ქუთაისელი და ზოგადად, ქართველი ქომაგი ჩვენგან წარმატებას ელის და ყველაფერს ვიღონებთ საიმისოდ, რომ იმედი არ გავუცრუოთ.

ჩემპიონთა ლიგაზე ამ სეზონიდან არაერთი სიახლეა – გაზრდილია საკვალიფიკაციო ეტაპების რაოდენობა (პირველ რაუნდს, წინ წინასწარი რაუნდი უძღვის, რომლისგანაც საქართველოს ჩემპიონი თავისუფალია), მომატებულია ჯგუფურ ეტაპზე ავტომატურად შემსვლელთა რაოდენობაც და შესაბამისად, საკვალიფიკაციოდან იქ მოხვედრა ერთი-ორად გართულებულია. პატარა ქვეყნებისთვის შეღავათი მხოლოდ ისაა, რომ პირველ რაუნდში მარცხის შემთხვევაშიც კი, კლუბი ევროპა ლიგაზე გადაინაცვლებს.

აუცილებლად სათქმელია, რომ მიმდინარე ერთნულ ლიგაში ტორპედო არასტაბილურად ასპარეზობს და სატურნირო ცხრილის შუაშია მოქცეული. თუმცა ქუთათურებს იმედი აქვთ, რომ ჩემპიონთა ლიგისთვის გაძლიერდებიან და გუნდიც უკეთეს კონდიციაში იქნება.

გადავინაცვლოთ ევროპა ლიგაზე, სადაც 3 ქართული კლუბი ითამაშებს და ბრძოლას სამივე პირველი ეტაპიდან დაიწყებს. იღბლიანი წილისყრის ყველაზე მეტი შანსი კი დინამოს აქვს, რადგან ქართულ კლუბებს შორის განთესილი მხოლოდ საქართველოს ვიცეჩემპიონია.

დინამოს სავარაუდო მეტოქეები:

სკუპი (მაკედონია), კუპსი, ილვესი, ლაჰტი (ყველა ფინეთი), შამროკ როვერსი, დერი სიტი (ორივე ირლანდია), რიგასი, ლიეპაია (ორივე ლატვია), ნარვა, ტრანსი (ესტონეთი), სტუმბრასი, თრაკაი (ორივე ლიეტუვა), განძასარი, ბანანცი, პიუნიკი (ყველა სომხეთი), ბალზანი (მალტა), რასინგი, პროგრესი (ორივე ლუქსემბურგი), კოლრეინი, გლენავონი, კლიფტონვილი (ყველა ჩრდილოეთ ირლანდია), ნომადსი (უელსი), რუნავიკი, ტორსჰავნი (ორივე ფარერები), ვადუცი (ლიხტენშტაინი), ლევადია (ესტონეთი), სტიარნანი, იბვ (ორივე ისლანდია), ფერენცვაროში, უიპეშტი (ორივე უნგრეთი), დუნაისკა სტრედა (სლოვაკეთი), პოდგორიცა (ჩერნოგორია), შიროკი ბრიეგი (ბოსნია), პარტიზანი, ლუფტელარი, ლაცი (ყველა ალბანეთი), მილსამი, პეტროცუბი, ზარია (ყველა მოლდოვა), ევროპა (გიბრალტარი).

ოთარ კიტეიშვილი, დინამოს კაპიტანი:

– გუნდი საკმაოდ კარგ ფორმაშია და, დარწმუნებული ვარ, ევროპა ლიგის სტარტისთვის კიდევ უფრო უკეთეს კონდიციებში ვიქნებით. კარგია, რომ ევროტურნირებისთვის მზადება ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარეობისას გვიწევს. რაც შეეხება პირველი რაუნდის წილისყრას, არ ვანიჭებთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მეტოქის ფაქტორს. ეს ეტაპი ყოველ მიზეზგარეშე უნდა გადავლახოთ და შევეცდებით, სხვა მეტოქეებსაც ვაჯობოთ.

ევროპა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების გამართვის თარიღი 12 ივლისი და 19 ივლისია.

შედარებით რთულად არის იმერული კლუბების საქმე. საქართველოს თასის მფლობელი საჩხერის ჩიხურა და ეროვნული ლიგის ბრინჯაოსმედალოსანი სამტრედია ევროპა ლიგის პირველ რაუნდში განუთესავები იქნებიან.

ესეც რომ არ იყოს, დასაფიქრებელია მათი ამჟამინდელი ფორმა. განსაკუთრებით საფრთხილო სამტრედიას ბოლოდროინდელი შედეგებია – ამ მომენტისთვის, ბადრი კვარაცხელიას გუნდი ეროვნულ ლიგაში ბოლო ადგილზეა...

შოთა კერძევაძე, სამტრედიის კაპიტანი:

– სადღეისოდ, სამტრედია ვერ აჩვენებს კარგ შედეგებს, მაგრამ მეც და ჩემს თანაგუნდელებსაც გვჯერა, რომ ეს ჩავარდნა დროებითია და მალე პროგრესის გზას დავადგებით. ევროტურნირები კარსაა მომდგარი და დროულად გვმართებს ფორმაში შესვლაც და შემადგენლობის გაძლიერებაც. იქ არ არსებობს იოლი მეტოქე და თუნდაც ერთი ეტაპის გადასალახად დიდი ძალისხმევა გვმართებს. იმედია, წილისყრაშიც გაგვიმართლებს. ამ შემთხვევაში სრულიად რეალურად მიმაჩნია, რომ სამტრედიამ ქვეყნის სახელი ღირსეულად დაიცვას.

თუმცა ამ ორ კლუბს შორის განსხვავება სხვა რამეშიცაა: საჩხერელები არსებული რესურსით აპირებენ ევროპაში თამაშს, სამტრედიელები კი ლეგიონერების ჩამოყვანას და გუნდის ამ გზით გაძლიერებას გეგმავენ...

საჩხერელთა და სამტრედიელთა სავარაუდო მეტოქეთა სიაც მეტად სოლიდურია:

კოპენჰაგენი, ნორდშელანდი (ორივე დანია), მარიბორი, დომჟალე (ორივე სლოვენია), მაქაბი თელ-ავივი, ბეითარი (ორივე ისრაელი), პარტიზანი, რადნიჩკი, სპარტაკი (ყველა სერბეთი), მიოლდე (ნორვეგია), აპოლონი, ანორთოსისი (ორივე კვიპროსი), დინამო, შახტიორი (ორივე ბელარუსი), ლეხი, გურნიკი (ორივე პოლონეთი), ფჰ (ისლანდია), დანდალკი (ირლანდია), ჟალგირისი (ლიეტუვა), გაბალა, კეშლა, ნეფთჩი (ყველა აზერბაიჯანი), ოსიეკი (ხორვატია), ვარდარი (მაკედონია), ტრენჩინი, სლოვანი (ორივე სლოვაკეთი), ვიტორული (რუმინეთი), აიკ, ჰეკენი (ორივე შვედეთი), ნიომე (ესტონეთი), სლავია, ცსკა, ლევსკი (ყველა ბულგარეთი), ვენტსპილსი (ლატვია), რეინჯერსი, ჰიბერნიანი (ორივე შოტლანდია), ქაირათი, ირტიში, ტობოლი (ყველა ყაზახეთი), ფოლა (ლუქსემბურგი), სარპსბორგი (ნორვეგია), რაბოტნიჩკი (მაკედონია), სარაევო, ჟელეზნიჩარი (ორივე ბოსნია), მლადოსტი (ჩერნოგორია).

სოსო ფრუიძე, ჩიხურას მთავარი მწვრთნელი:

– ევროსეზონს გაახალგაზრდავებული გუნდით ვხვდებით. ასეთ სიტუაციაში არაერთხელ ვყოფილვართ, მაგრამ თავი არ შეგვირცხვენია. ყველანაირად ვეცდებით, რომ ამჯერადაც ღირსეულად გამოვიდეთ. საამისოდ კი, ცხადია, იღბლიანი წილისყრაც დაგჭირდება. მაგალითად, ვისურვებდი, რომელიმე ბალტიისპირული კლუბი გვერგოს მეტოქედ.

მუნდიალი უხვგოლიანად დაიწყო

რუსეთი-საუდის არაბეთი 5:0

მოსკოვი. ლუჟნიკი

1:0 გაიზინსკი (12), 2:0 ჩერიშევი (43), 3:0 ძიუბა (71), 4:0 ჩერიშევი (90), 5:0 გოლოვინი (90)

რუსეთი: აკინფეევი, ჟირკოვი, იგნაშევიჩი, კუტეპოვი, ფერნანდესი, ზობნინი, გაზინსკი, გოლოვინი, ძაგოევი (ჩერიშევი 24), სამედოვი (კუზიაევი 64), სმოლოვი (ძიუბა 70)

საუდის არაბეთი: ალ-მაიუფი, ალ ბურაიკი, ომ.ჰავსავი, ოს.ჰავსავი, ალ-შაჰრანი, ალ-დავსარი, ოტაიფი (ალ-მუვალადი 64), ალ-ფარაჟი, ალ-ჯასიმი, ალ-შეჰრი (ბაჰბირი 72), ალ-სალჰავი (ასირი 85)

მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მუნდიალის გახსნის მატჩში ერთმანეთს რეიტინგით 2 ყველაზე სუსტი გუნდი შეხვდა. სანახაობრივიც არ გამოდგა, მაგრამ 5 გოლი მაინც გავიდა. გოლები კი გამოდგა ღამაზი, რუსებმაც მაგრად დაჩაგრეს საუდის არაბეთის ნაკრები.

ერთადერთი, რაც თვალშისაცემი იყო, ის არის, რომ პრესინგი თანამედროვე ფეხბურთის მძლავრი იარაღია. ამიტომაც იყო, რომ არაბებმა ერთხელაც ვერ დაარტყეს რუსთა კარის ჩარჩოში.

ჩერჩესოვის გუნდს კი იმაშიც გაუმართლა, რომ სწრაფი გოლი გაიტანეს. მე-12 წუთზე იური გაზინსკიმ კარგად ისარგებლა არაბი მცველის წაფორხილებით და ალექსანდრ გოლოვინის პასს თავი საგოლედ დაუხვედრა.

შემდეგ იყო ალან ძაგოევის ტრავმა და მის ნაცვლად მოედანზე დენის ჩერიშევი შევიდა, რომელმაც 2 ლამაზი გოლი გაიტანა. ჯერ ტაიმის მიწურულს, როდესაც მოხდენილი მოძრაობით გააბითურა მცველები და ახლო ცხრიანში გაჭედა, შემდეგ კი მეორე ტაიმის ბოლოს მოჭრილი დარტყმით გაიტანა.

ჩერიშევის გოლებს შორის არტიომ ძიუბამაც გაიტანა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ძიუბა მოედანზე სულ წუთის შესული იყო. მოკლედ, ჩერჩესოვს შეცვლებში გაუმართლა. ჰო, ძიუბას გოლზეც ასისტენტობა გოლოვინმა გასწია.

თავად გოლოვინიც არ დარჩენილა უგოლოდ. სულ ბოლოს საჯარიმო დარტყმა უზუსტესად შეასრულა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

რუსეთის ნაკრებმა ამ მოგებით კონკურენტები შეაშინა. რადგან მუნდიალზე თანაბარი ქულების დროს ურთიერთშეხვედრებს ყურადღება არ ექცევა, დიდი ანგარიშით მოგების შემთხვევაში ჩერჩესოვის გუნდისთვის რომელიმე უშუალო მეტოქესთან ფრედ დამთავრებული შეხვედრაც, შესაძლოა, საკმარისი აღმოჩნდეს ჯგუფიდან გასასვლელად.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ალექსანდრ გოლოვინი**

ფიფამ მატჩის საუკეტესოდ ჩერიშევი აღიარა, მაგრამ ჩვენ გოლოვინი გამოვარჩიეთ. ცსკას ფეხბურთელმა ორი უზადო საგოლე პასი გააკეთა და არანაკლებ ლამაზი საჯარიმო გაიტანა. გარდა ამისა, ბევრი შავი სამუშაო ასრულა და ყველაზე მეტი მანძილი დაფარა მთელი მატჩის განმავლობაში.

სტანისლავ ჩერჩესოვი, რუსეთის ნაკრების მწვრთნელი:

– მსურს, მადლობა გადავუხადო ფეხბურთელებს, რადგან ნაკისრი ვალდებულებები საკმაოდ მაღალ დონეზე შეასრულეს. ვამაყობ, რომ მათ ამ დონეზე თამაში შეძლეს, თუმცა, შემდეგი მატჩისთვის მზადება უნდა დავიწყოთ. ვგრძნობ, რომ გულშემატკივრებს ჩვენი სჯერათ. მე, როგორც მწვრთნელი, მთლიანად დამოკიდებული ვარ ფეხბურთელებზე. ამ გამარჯვების შემდეგ მშვიდად ვარ.

ხუან ანტონიო პიცი, საუდის არაბეთის ნაკრების მწვრთნელი:

– ძალიან მძიმე შეხვედრა გამოდგა. სიმართლე გითხრათ, ასეთ შედეგს არ ველოდი. მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში ჩვენი ოცნება იყო, თუმცა, როგორც ჩანს, ამ შეხვედრისთვის მზად არ ვიყავით. ცუდი შედეგი იმაზე მეტყველებს, რაც რეალურად ხდება საუდის არაბეთის ნაკრებში. რთული ჯგუფია, თუმცა, ჯერ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. რა თქმა უნდა, მე შევისწავლე მეტოქე. ვიცოდი როგორ ითამაშებდნენ. ვერ ვიტყვი, რომ რამით გამაკვირვეს. თუმცა, მათ პატივს ვცემ. ეს უფრო მათ კი არ მოიგეს, არამედ ჩვენ წავაგეთ. ვთვლი, რომ შედეგი რუსების კარგმა თამაშმა არ განაპირობა. ეს ჩვენი თამაშის დაბალი ხარისხის ბრალი იყო.

ეროვნული ლიგა მუნდიალის პარალელურად

16 ივნისი

კოლხეთი-რუსთავი

19:00 ზესტაფონი. დავით აბაშიძე

საწყისი ტურების შემდეგ კოლხებს პირველად ეძლევათ შანსი, რუსთაველებზე წინ აღმოჩნდნენ. ალბათ, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დადგებოდა, ქვემოქართლურ კლუბში ბოლო დროს ცვლილებები რომ არ განხორციელებულიყო. ახლა რუსთაველებს კარგი დროება არ უდგათ – ბოლო ხუთ ტურში ოთხი წააგო და ერთიც ფრედ ითამაშა.

კოლხებმა ამით ისარგებლეს და მეტოქეს მიუახლოვდნენ, ხოლო თუ მოუგებენ, გადაასწრებენ კიდეც. თუმცა, თუ მოუგებენ... საინტერესო თამაში რომ იქნება და ბრძოლა, ფაქტია.

დილა-სამტრედია

21:00 გორი. თენგიზ ბურჯანაძე

სამტრედიამ მიმდინარე სეზონის პირველ ტურში რომ მოიგო, ის კინკილა გამარჯვებაა აქვს გრაფაში და ცხრილის ფსკერზეა მისვენებული. არადა, სეზონის წინ სამტრედიელები ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდნენ. შემდეგ გუნდში სიტუაცია აირია, ახალი მწვრთნელი მივიდა და გამოცდილი ფეხბურთელები წავიდნენ. მოკლედ, ცუდ ფორმაშია.

დილაზე კი რა უნდა ვთქვათ: ეს გუნდი წელს თავისი თამაშით ყველას აოცებს და მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პროექტია. გორელები საჩემპიონო განაცხადსაც აკეთებენ და შინ სამტრედიასთან სამ ქულას გეგმავენ.

17 ივნისი

სიონი-ლოკომოტივი

18:00 თბილისი. მიხეილ მესხი

ლოკომოტივმა ბოლო დროს თამაში გამოასწორა და უიმედო ბოლო ადგილს არათუ თავი დააღწია, არამედ, გასავარდნ ზონას ასცდა. ბოლო 5 მატჩში ლოკომოტივმა 3 მოიგო და 2 ფრედ ითამაშა.

ბოლნისელებმა კი მხოლოდ 3 ქულა აიღეს და ცხრილში მხოლოდ სამტრედიას უსწრებენ. ქულები ორივე გუნდს სჭირდება, ამიტომ საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს.

საბურთალო-დინამო

20:30 თბილისი. მიხეილ მესხი

დედაქალაქური დერბი და ლიდერთა ჯახი. გუნდები 1-2 ადგილებს ინაწილებენ და, რომ იტყვიან, 6-ქულიანი მატჩია.

დინამო მოგების შემთხვევაში მეტოქეს გადაასწრებს, ხოლო საბურთალო თუ 3 ქულას მიითვლის, კიდევ უფრო დაუსხლტება მდევარს.

ამ გუნდების მატჩი ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს და გამონაკლისი არც ეს უნდა იყოს. მიმდინარე სეზონში ეს გუნდები 15 აპრილს შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩი დინამო არენაზე გაიმართა და სტუმართა გამარჯვებით 1:0 დასრულდა.

18 ივნისი

ჩიხურა-ტორპედო

18:00 ივანწმინდა. ცენტრალური

იმერული დერბიც არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს. ჩემპიონატის გარდა, ეს გუნდები საქართველოს თასზე და სუპერთასზეც შეხვედრიან და ერთმანეთში ყოველთვის საინტერესო დაპირისპირებები აქვთ.

მიმდინარე სეზონშიც მაღალი ამბიციები გააჩნია და სწორედ ურთიერთშეხვედრებში გაირკვევა, ვინ რის იმედად დგას. გარდა ამისა, მშვენიერი შესაძლებლობაა ერთმანეთი ევროტურნირების მზადებაში გამოცადონ.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	14	10	1	3	28-12	31
2.დინამო	14	9	2	3	25-12	29
3.დილა	14	7	6	1	28-15	27
4.ჩიხურა	14	6	4	4	22-15	22
5.ტორპედო	14	6	3	5	20-14	21
6.რუსთავი	14	4	3	7	13-19	15
7.ლოკომოტივი	14	4	3	7	15-24	15
8.კოლხეთი	14	3	4	7	15-32	13
9.სიონი	14	2	4	8	12-25	10
10.სამტრედია	14	1	6	7	9-19	9

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კაშია სან ხოსეშია

არნემის ვიტესის ქართველმა კაპიტანმა, გურამ კაშიამ, ჰოლანდიური კლუბი 8-წლიანი თანამშრომლობის შემდეგ დატოვა და კარიერას ამერიკის მლს-ში გააგრძელებს.

ინფორმაციას კაშიას ახალი გუნდის, სან ხოსეს ვებგვერდი ავრცელებს, თუმცა შეთანხმების პირობები ჯერჯერობით უცნობია.

ტრანსფერზე ამერიკული გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ხოსე ფიორანელმა ისაუბრა:

– ახლანდელ სატრანსფერო ფანჯარაზე გვსურს გავაძლიეროთ პრობლემატური პოზიციები. ვეძებდით მცველს, რომელიც მაღალი დონის მოთამაშის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა – სწორედ ასეთი იყო კაშია და ამიტომ, ვიყიდეთ ის! გარდა მისი დიდი გამოცდილებისა, კაშია მოედანსა და მის გარეთაც ლიდერია, რაც დარწმუნებული ვარ, ჩვენს გუნდს წარმატებაში დაეხმარება.

შეგახსენებთ, რომ სან ხოსეში კაშია ძველი ნაცნობი, ვაკო ყაზაიშვილი დახვდება, რომელთან ერთადაც საქართველოს ნაკრების გარდა ვიტესშიც უთამაშია.

30 წლის ქართველმა ფეხბურთელმა სოციალური ქსელის მეშვეო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

კაშია სან ხოსეშია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ბით გულშემატკივარს მიმართა და ემოციურად დაემშვიდობა.

გურამ კაშია:

– მიუხედავად იმისა, რომ აღარ ვარ ვიტესის ნაწილი, არნემული გუნდი ჩემი ცხოვრების ნაწილად ყოველთვის დარჩება. მადლობა, არნემელებო, იმისთვის, რომ გამხადეთ ის ადამიანი, რომელიც დღეს ვარ და მომეცით ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. დამშვიდობება არ ყოფილა ჩემი გეგმის ნაწილი, თუმცა იძულებული გავხდი შევგუებოდი ამას, რომ კარგი რაღაცები დასასრულამდე მისულიყო. იმედი მაქვს გამიგებთ, რადგან იმის არჩევა, გამოვცადო რაიმე ახალი, არ ნიშნავს, რომ ვიტესზე ან თქვენზე ნაკლებად ვინერვიულებ. იქედან გამომდინარე, რომ გუნდში უამრავი ადამიანია, ვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი, არავის გამოვყოფ კონკრეტულად, რადგან არ მსურს, ვინმე გამომრჩეს. კლუბის პერსონალის ყველა წევრთან ურთიერთობა შესანიშნავი იყო, მომენატრებით. გურამ კაშია ვერასდროს გადაგიხდით იმის საფასურ მადლობას, რაც თქვენ მას 8 წლის განმავლობაში მიეცით! სადაც არ უნდა წავიდე, ეს კლუბი და ეს ქალაქი ყოველთვის ჩემს გულში იქნება.

შეგახსენებთ იმასაც, რომ კაშია არნემის ვიტესს 2010 წელს თბილისის დინამოდან შეუერთდა და მას შემდეგ გუნდის შეუცვლელი წევრი იყო.

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

16 ივნისისთვის

ვერძი – დიდი ცვლილებების დრო მოახლოვდა. კეთილისმყოფელი პერიოდია საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება, თუმცა ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. **ტყუპები** – გაუთვალისწინებელ ხარჯებს ერიდეთ. პირად ცხოვრებაში წინააღმდეგობრივი ტენდენციები იჩენს თავს. **კირჩხიბი** – გადაწყვეტილების მიღებისას არ აჩქარდეთ. ეცადეთ, ძველი საქმეები დღეს შეძლებისდაგვარად დაამთავროთ. **ლომი** – საქმიანი შეხვედრებისათვის სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს უმჯობესი იქნება, სპორტით დაკავდეთ ან ფიზიკურად დაიტვირთოთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების მიმართ რწმენას კარგავთ. ამის მიუხედავად, დღეს სასიამოვნო ახალი ამბები გელით. **სასწორი** – დაკისრებულ საქმეს მთელი სერიოზულობით მიუდექით. დაძაბულობა იმატებს. **ღრიანკალი** – იაქტიურეთ. შემოქმედებითად დატვირთული დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **მშვილდოსანი** – მცირეოდენი ვარჯიში და სუფთა ჰაერზე სეირნობა საკმაოდ გაგახალისებთ. ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. **თხის რქა** – პარტნიორთან ურთიერთობაში მძიმე გამოცდა გელით. საკუთარ პრინციპებს ნუ დათმობთ. **მერწყული** – პრობლემების მოგვარებაში ნათესავები ან მეგობრები გეხმარებიან. გამორიცხული არ არის მატერიალური ხარჯები. **თევზები** – ადამიანების მიმართ აგრესიას თუ გამოავლენთ, საპასუხოდ აგრესიასვე მიიღებთ. ეცადეთ, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ.

17 ივნისისთვის

ვერძი – შექმნილი სიტუაცია გაიძულებთ, გარშემომყოფებთან ურთიერთობაში კორექტივები შეიტანოთ. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით. **კურო** – დასახული მიზნის მისაღწევად სიმტკიცე და ნებისყოფა გჭირდებათ. თქვენს ღირსებას ნურავის შეალახვინებთ. **ტყუპები** – ცვლილებების დღეა. მოსალოდნელია ფინანსური კრიზისი. ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. **კირჩხიბი** – ოჯახის წევრები რთულ სიტუაციაში სრულ მხარდაჭერასა და ნდობას გიცხადებენ. მათ იმედებს ამართლებთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა ძველი, დავიწყებული კავშირების აღსადგენად. ფანტაზიას მეტი გასაქანი მიეცით. **ქალწული** – ენერგიულად ხართ. დღის პირველ ნახევარში ნებისმიერ ჩანაფიქრს ხორცს შეასხამთ. საღამოს ძველ მეგობრებს შეხვდებით. **სასწორი** – პლანეტების მფარველობას გრძნობთ. კოლეგები და ნათესავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებენ. **ღრიანკალი** – ქალაქგარეთ გასვლა, ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. რასაც ხელს მოჰკიდებთ, გამოგივათ. **მშვილდოსანი** – საკუთარი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ. სამსახურში უფროსობა თქვენით კმაყოფილია. **თხის რქა** – გადაღლა სახიფათოა თქვენი ჯანმრთელობისათვის. ემოციები მართეთ. **მერწყული** – ახალი იდეები, ინიციატივა წარმატებას მოგიტანთ. იყავით დამოუკიდებელი. **თევზები** – უსიამოვნო სიურპრიზის მიუხედავად, საქმეებს აგვარებთ. მეტი სიბრძნე და თავშეკავება გმართებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ინდოელებმა ფარშევანგს სული ტანჯვით ამოხადეს

ინდოეთში გამვლელებმა სელფის გადასაღებად ისე დატანჯეს ფარშევანგი, რომ მან სტრესს ვეღარ გაუძლო და დაიღუპა.

ინციდენტი დასავლეთ ბენგალიის შტატის ქალაქ ჯალპაიგურიში მოხდა. ფარშევანგი სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა ქალაქის ხალხმრავალ ადგილას და გამვლელთა შორის აჟიოტაჟი გამოიწვია. ბევრმა მათგანმა ფრინველთან სელფის გადაღება მოისურვა. ისინი მას ფეხებზე ქაჩავდნენ და ცდილობდნენ, ბუმბულები აეწეწათ, რათა ეიძულებინათ, კუდი გაეშალა. ფარშევანგმა ასეთ წვალებას ვერ გაუძლო, სტრესი მიიღო და დაიღუპა.

– ჩვენ მომხდარის გამოძიებას ვაწარმოებთ. ის, რაც მოქალაქეებმა გააკეთეს, აშკარაა, რომ არასწორი საქციელია, – განაცხადა ადგილობრივმა ცხოველთა დამცველმა სიმა ჩაუდარიმ. ფრინველის დაღუპვის გარემოებით პოლიცია და ადგილობრივი ხელისუფლება დაინტერესდნენ.

აღსანიშნავია, რომ 1963 წლის თებერვლიდან ფარშევანგი ინდოეთის ეროვნულ ფრინველად ითვლება.

ამერიკელმა მყიდველს მილიონიანი ლატარიის ბილეთი დაუბრუნა

ამერიკის კანზასის შტატში გამყიდველმა ლატარიის ბილეთი, რომელმაც მილიონი დოლარი მოიგო და მყიდველს დახლზე დარჩა, მფლობელს დაუბრუნა.

კელ პატელმა, რომლის მშობლებსაც ეკუთვნით ავტოგასამართ სადგურთან არსებული მაღაზია, განაცხადა, საკუთარ გადაწყვეტილებას არ ნანობს, ვინაიდან კეთილი საქმე ადამიანს უკანვე უბრუნდება, ხოლო ბოროტება პრობლემებად გარდაიქმნება.

ლატარიაში გამარჯვებულმა მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, სამი ბილეთი სულ სხვა ადგილას იყიდა, შემდეგ კი ავტოგასამართ სადგურზე შეიარა და მათი შემოწმება იქ გადაწყვიტა. მან ორი ბილეთი შეამოწმა, მესამე კი დახლზე დარჩა. მაღაზიის თანამშრომელმა მისი შემოწმება გადაწყვიტა და აღმოაჩინა, რომ მას მილიონი დოლარი ჰქონდა მოგებული.

პატელი მიხვდა, თუ რომელ მყიდველზე იყო საუბარი და შეეცადა, მისი სახლი ეპოვა, მაგრამ ვერ შეძლო. მაშინ მან გადაწყვიტა, რომ მას ავტოგასამართ სადგურზე დალოდებოდა.

მეგობრებმა პატელს უსაყვედურეს იმის გამო, რომ შემთხვევით არ ისარგებლა და მოგება არ მიისაკუთრა, მაგრამ მან განმარტა, რომ ასეთ საქციელს უსამართლობად მიიჩნევს. ასევე მან აღნიშნა, რომ მისი საქციელის შემდეგ ბევრმა განუცხადა, რომ მან მათ ამით ადამიანობის რწმენა დაუბრუნა.

ადგილობრივმა საადვოკატო ფირმამ პატელს 1200-დოლარიანი ქვითარი გადასცა მისი კეთილი საქციელისთვის.

„ქალის“ კამასუტრა გამოუშვეს

გამომცემლობა The Folio Society-მ კამასუტრას ახალი ვერსია გამოუშვა, რომლის ილუსტრაციები პირველად წარმოაჩენს სიამოვნების განცდაზე ქალი შეხედულებას.

„ქალის“ კამასუტრა შეზღუდული, 750 ტირაჟით გამოვიდა. ერთი ეგზემპლარის ფასი 395 ფუნტ სტერლინგს შეადგენს. გამოცემა საგანგებოდ ახალგაზრდა აუდიტორიისთვის შეიქმნა და პირველად მისი ილუსტრაციები ქალმა შეასრულა. მისი გაფორმებით ლოსანჯელესელი მხატვარი ვიკტო ნგაი იყო დაკავებული, რომელიც ზღაპრული სტილის ნამუშევრებითაა ცნობილი და რომელსაც უამრავი ჯილდო აქვს მიღებული ხელოვნებისა და დიზაინის სფეროში.

ილუსტრატორს სჯერა, რომ ძველ წიგნში ფემინისტური პერსპექტივა შეიტანა. ახალი კამასუტრა შესაძლოა ყველაზე თვალნათელ გამოცემად იქცეს წიგნის ისტორიაში.

შეგახსენებთ, რომ ძველინდური ხელნაწერი ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3-4 საუკუნეებით თარიღდება. სანსკრიტული სიტყვა „კამა“ სიყვარულს, სიამოვნებასა და სექსუალურ დაკმაყოფილებას ნიშნავს, ხოლო ტექსტის უდიდესი ნაწილი სიყვარულისა და ოჯახის ფილოსოფიას შეეხება.

ცოლმა ქმარი 30 ბულტერიერისთვის მიატოვა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ქალბატონმა, ლიზ ჰასლამმა, ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეპროგრამის წამყვანთან საუბარში განაცხადა, რომ მან ქმარი ბულტერიერის ჯიში 30 ძაღლის გამო მიატოვა, რომელთა ნახევარი ავადმყოფია და დამატებით მოვლას საჭიროებს.

49 წლის ლიზმა ჟურნალისტს განუცხადა, რომ თავის 53 წლის მეუღლე მაიკს 25-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ დაშორდა. ლიზმა ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ქმარმა შესთავაზა, რომ არჩევანი ქორწინებასა და ძაღლების გადარჩენას შორის გაეკეთებინა. ქალის თქმით, მისმა ძაღლებით გატაცებამ მეუღლესთან ურთიერთობაში დაძაბულობა წარმოშვა და არ ნანობს, რომ არჩევანი ძაღლების სასარგებლოდ გააკეთა.

ქალმა ტელეშოუში აღნიშნა, რომ ის ძაღლების მიმართ უპირობო სიყვარულს განიცდის, რომლისთვისაც არ არსებობს „წესები ან რეგლამენტი“.

– თავს მარტოხელად არ ვგრძნობ, ვინაიდან მყავს 20 წლის შვილი, რომელიც ყოველთვის დამეხმარება, – განაცხადა ქალმა.

გაკოჭილმა ალიგატორმა დამჭერი თავის დარტყმით ნოკაუტში ჩააგდო

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ოკოიში ალიგატორმა თავის დამჭერს თავში ჩასცხო და ძირს დააგდო.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ბუნების დაცვის კომისიის თანამშრომლებმა ორმეტრიანი ალიგატორი, რომელიც ქალაქის ქუჩებში დასეირნობდა, დაიჭირეს და შეკრეს. როდესაც ისინი რეპტილიას მანქანის ძარაზე ტვირთავდნენ, ალიგატორი შეეცადა, თავი გეთავისუფლებინა. მან თავი ერთ-ერთ მამაკაცს დაარტყა და ნოკაუტში ჩააგდო. მამაკაცი მიწაზე უგონოდ დაეცა, რეპტილიაც მანქანიდან მიწაზე ჩამოვარდა.

ალიგატორის გაქცევის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. გაკოჭილი ცხოველი ადგილზე დააბრუნეს და წაიყვანეს. დაზარალებული მამაკაცი გონს მოვიდა და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. მომხდარი ვიდეოზე რამდენიმე თვითმხილველმა გადაიღო და იუთუბისა და ინსტაგრამში გამოაქვეყნეს.

მშიერმა გერმანულმა ნაგაზმა პატრონის სახლი გადაწვა

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის დასახლებულ პუნქტ ალფაში ძაღლმა პატრონის სახლში ხანძარი გააჩინა.

უმეთვალყურეოდ დარჩენილი გერმანული ნაგაზი შეეცადა, მაგიდაზე დადებულ საჭმელს მისწვდომოდა. ძაღლი უკანა თათებზე დადგა და ამ დროს შემთხვევით წამოედო ელექტრო ქურას, რის შედეგადაც მისი ერთ-ერთი ნაწილი ჩაირთო. ამავე დროს, ცხოველმა შემთხვევით მაგიდაზე დატოვებული ნივთები ქურაზე გადმოაგდო. მათ მაშინვე ცეცხლი წაეკიდა, ხოლო ჭერის მომუშავე ვენტილატორმა ისინი ძაღლის ქვეშაგებზე გადააგდო. ამის შედეგად მასაც ცეცხლი წაეკიდა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მეხანძრემ სამზარეულოს შეღებილი ფანჯრიდან შენიშნა ცეცხლწაკიდებული ქვეშაგები და ცეცხლმაქრით სახლში შეუსვლელადვე ჩააქრო. ამ დროს პოლიციამ სახლის კარი გახსნა, იქიდან კი ორი ძაღლი გამოვარდა. ამის შემდეგ მეხანძრეებმა ცეცხლი უკვე ელექტროქურაზეც ჩააქრეს.

ცეცხლის ალმა გავრცელება ვერ მოასწრო, ამიტომ სახლი თითქმის არ დაზიანებულა. ასევე არ დაშავებულან სახლში მყოფი გერმანული ნაგაზი და მისი ლეკვი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 2. საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელი; 3. ყურძნის ბადაგისა და ფქვილისგან მომზადებული ტკბილეული; 4. უბანი თბილისში; 8. ძველად სურსათ-სანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრებისთვის; 9. გულის პერანგი; 11. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 12. ბებერი თხა; 14. ქალაქი ჩეხეთში; 16. ისტორიული სატუსაღო პარიზში; 17. სიმღერის შესრულების იტალიური სტილი; 19. აეროპორტი ტოკიოში; 21. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა.

თარაზულად: 5. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 6. თანამედროვე ქართველი ფოტოხელოვანი; 7. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 10. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 13. კუთხე საქართველოში; 15. ქართველი მოქანდაკე; 18. ზამთრის კურორტი საფრანგეთში; 20. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 22. ლირიკული ჟანრის სვანური სიმღერა; 23. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 24. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კლინიკა; 2. ხარება; 3. ქუჩაბანდი; 4. ყაბახი; 5. გრიმალდი; 7. იენი; 11. ნებიერი; 13. შავთელი; 15. ზესხო; 16. საქსი; 18. დრაჟე; 19. დუბაი.

თარაზულად: 6. ლევილი; 8. ზანდური; 9. ამბიცია; 10. ინდიანა; 12. მარკა; 14. პირელი; 17. დივიდენდი; 20. სპეკალი; 21. ჩხოუში; 22. ჟაკარი; 23. ბირთვისი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პოლისი; 2. ტავრიდა; 3. ბახთიარი; 4. პროგრესი; 8. კეტაშვილი; 9. ტაბაწყური; 11. კრახუნა; 12. აბიო; 14. ელია; 16. ჩხოროწყუ; 17. ზაკოპანე; 19. არენდა; 21. ცურვა.

თარაზულად: 5. ლაშარელა; 6. ავადჰარა; 7. ექსპანსია; 10. ჩარექა; 13. რებუსი; 15. მისხალი; 18. ჩხეიძე; 20. ბაროკო; 22. მზეჭაბუკი; 23. ჭყონდიდი; 24. ავტობანი.

გიო ხუციშვილი საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს

56 წლის ასაკში გარდაცვლილი მომღერალი გიო ხუციშვილი საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს. მისი სამოქალაქო პანაშვიდი საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ამაღლების სახელობის ტაძარში გაიმართა. მომღერლის ოჯახს გიოს მეგობრებმა, კოლეგებმა, პოლიტიკოსებმა და რიგითმა მოქალაქეებმა მიუსამძიმრეს. მომღერალი უკანასკნელ გზაზე ბიძინა ივანიშვილმაც გააცილა.

გიო სიმსივნეს ებრძოდა, სამწუხაროდ, ეს ბრძოლა მომღერლის დამარცხებით დასრულდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ხელოვანს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში შემოქმედებითი საღამო გაუმართეს და ვარსკვლავიც გაუხსნეს.

უკანასკნელ გზაზე გიო ხუციშვილს მასზე შეყვარებულმა ადამიანებმა უამრავი ცრემლი და სიყვარული გაატანეს.

– არსადაც არ წავსულვარ! მოგენატრებით და ცაში ამომხედეთ, მერე თვალები დახუჭეთ და მომისმინეთ... თქვენთან ვიყავი და ვიქნები... ვიქნები ისეთი, როგორიც დაგამახსოვრდით, როგორიც გტკიოდით და გიყვარდით... ასეა... და მე, თქვენში დატოვებული მე, თქვენთან ერთად გავაგრძელებ სიცოცხლის სიყვარულს... თქვენი გიო ხუციშვილი... – ეს არის ჩანაწერი, რომელიც მისმა მეგობრებმა გაავრცელეს.

მაკა ზამბახიძე, მომღერალი:

– ყველაზე თბილი, ტკბილი და გემრიელი გიო. როგორ მიყვარხარ და როგორ დაგვაკლდები ყველას! ძალიან გამიჭირდება შენი წარსულში მოხსენიება, იმიტომ, რომ შენი სიმღერები მუდამ გაგვიცოცხლებს შენ თავს და არასდროს დაგიწყებთ.

ნანუკა ჟორჟოლიანი, ტელეწამყვანი:

– ჩვენ ხომ გარდაცვლილებს ვესიყვარულებით და მე, სიცოცხლეშივე მოვასწარი მეთქვა გიოსთვის, როგორ მიყვარს. ამოდი, ამოანათე ჩემო მეგობარო! შენ ნამდვილად ძალიან დააკლდები ქალაქს.

ნატო გელაშვილი, მომღერალი:

– იყო და არა იყო და რა. მე გიო ვარ, მე კი ნატო. ასე დაიწყო 20 წლის წინ. ჩემი გიო იყავი, ჩემი ხუცო და ყოველთვის ასე იქნება.

თამარ მაყაშვილი, მსახიობი:

– წავიდა ჩემი ბავშობა და სილაღე!

ანი ღლონტი, მომღერალი:

– შენობას რომ აგური გამოეცლება, ეგეთი შეგრძნება მაქვს. გიოს სახით კიდევ ერთი „აგური“ გამოეცალა თბილისს. ასეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩემი ქალაქი, ქართული სიმღერით და იმ სიყვარულით გაჟღენთილი, რაც ჩემს ბავშობაში იყო, ნელ-ნელა აღარ არის. მენანება გიო, მეცოდება ჩემი კეთილი თბილისი ყოველი ქართული ხმის დაკარგვისას. ყველანაირ სიმღერას გავურბივარ, სადაც გიოს ხმა არის, პანაშვიდზეც გონებაგათიშული ვიყავი. აღარ ვიცი, რა არის სამართალი – რა უსამართლობა, თუმცა ერთი რამის მჯერა, ის იქ იქნება, სადაც „მზე“ ყველაზე კაშკაშად ანათებს, ან თვითონ გახდა მზე, რომელიც ამოდის, ამოანათებს!

მაკა რაზმაძე, ჟურნალისტი:

– რა სიმბოლური სიმღერაა: წვიმს და ისევ მეძახიან მოგონებები შორს, წვიმს, თუ აღარ დაბრუნდები, მე რას მიშველის დრო. წვიმს და ისევ ჩვენს ფანჯრებზე ისმის წვეთების ხმა, წვიმს, ძალიან მენატრები, სადა ხარ. მარადისობა და მერე იქ, სადღაც სხვაგან, როდესმე შეხვედრის იმედი. შეხვედრამდე სადმე, როდესმე.

დათო ევგენიძე, კომპოზიტორი, პოეტი:

– თუ შეიძლება სიცოცხლე შეწყდეს, სიმღერა არა... ის ნაწილია მარადისობის სიკვდილი კმარა... ამ სულის გარდა იცვლება ეს ცაც... ვინ თქვა სიმღერა, გარდაიცვალა... ჩვენთვის მღეროდა აქ, ამ სცენაზე... ახლა კი სცენა გამოიცვალა!

მოქანდაკე ირაკლი ჟვანია მიხეილ გიორგაძეს მიმართავს: „დავიღალეთ ლოდინით. მიხედეთ საქმეს“

მოქანდაკე ირაკლი ჟვანიამ საქართველოს კულტურის მინისტრს მიხეილ გიორგაძეს სოციალური ქსელის მეშვეობით საჯაროდ მიმართა და ქართული კულტურისთვის უმთავრეს საკითხებზე ყურადღების გამახვილება სთხოვა:

– მიშა! სოციალურ ქსელში გწერ ერთი მარტივი მიზეზის გამო, მინდა, რომ ყველამ წაიკითხოს და იცოდეს, რაზედაცაა საუბარი...

პირდაპირ საქმეზე გადავალ: ქართველებმა მეტ-ნაკლებად შევცვალეთ პოლიცია, სასამართლო, საბაზრო ურთიერთობები, მენტალიტეტი, რითი ვერ შევცვალეთ ეს საბჭოური კულტურის პოლიტიკა ქვეყანაში?

რას ვეძახი საბჭოურს ავხსნი: როდესაც კულტურა ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, როდესაც ბიზნესი კანონით არაა წახალისებული კულტურის დაფინანსებაში, როდესაც არ ხორციელდება ე.წ. თავისუფალი პროექტები...

რომელ ევროპულ ან სხვა ქვეყნებში გინახავთ, რომ მხატვრები და სხვა ხელოვანები კულტურის სამინისტროში ან მერიის კულტურის სამსახურში დადიოდნენ და ჩინოვნიკებს ფულს ეხვეწებოდნენ იდეებისთვის? რატომ არ იღებთ კანონს სპონსორობის შეღავათებზე? რატომ ხართ ჩარჩენილი ესესესერის ეპოქაში, სადაც შემოქმედს ერთი გზა გრჩება, სახელმწიფოს ეხვეწო ფული! მეც ვიყავი შენთან და გეხვეწე, გახსოვს კარგად. და პასუხი იყო, ფული არა გვაქვს თავისუფალ პროექტებზეო.... ჯერ ერთი, რატომ არა გაქვს, გაუგებარია 14 მილიარდიანი ბიუჯეტის პირობებში იმისთვის ფული, რომ დაუფინანსო შემოქმედს საინტერესო იდეა? მე გეტყვი, რატომ არა გაქვს, იმიტომ, რომ არ გაინტერესებთ, არ იღწვით ამისთვის.

ახლა მეორე: ბიუჯეტი არ უნდა აფინანსებდეს არასახელმწიფო პროექტებს და ეს ერთმნიშვნელოვნად ასეა. მაშინ მოგვეცით ეს ყბადაღებული კანონი სპონსორობის შეღავათების შესახებ და მივხედავთ ჩვენს თავს! გაგიჩნდება იდეა, მიხვალ კომერციულ სტრუქტურაში, ისიც დაგიფინანსებს ამ პროექტს და რამდენი რამე გაკეთდებოდა ამით!

შენ ფულს არ გვაძლევ. კანონს არ გვაძლევთ. რა გააკეთონ დამოუკიდებელმა არტისტებმა, შევეშვათ ხელოვნებას და ყველანი ბანკებში წავიდეთ მენეჯერებად?!

სპონსორობის კანონის შემოღებით ბიუჯეტს მოაკლდება წლიურად 10-20 მილიონი ლარი, მოაკლდეს! ცოტა ნაკლებ ჯიპებს იყიდიან უნიჭო ჩინოვნიკები, არა უშავს. სამაგიეროდ ათასი შემოქმედი ამოისუნთქებს!

შენ თვითონ კახასთან ერთად ხარ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაგარი და თანამედროვე შოუ-ბიზნესის ფუძემდებელი ისთერნ პრომოუშენის, როგორ მოახერხე, რომ ყველაზე ინოვაციური მიდგომის ავტორი სსრკ კულტურის მინისტრად გადაიქეცი, რომლის მთავარი ფუნქცია უარის თქმაა შემოქმედი ხალხისთვის? კი ბატონო, დააფინანსოს სახელმწიფომ სახელმწიფო ობიექტები, თეატრები თუ ძეგლების აღდგენა. მაგრამ თავისუფალმა ხალხმა რა გააკეთოს, აღარ შექმნას არაფერი? იმიტომაცაა, რომ არაფერი არ კეთდება ინოვაციური გარშემო კულტურის სფეროში! თუ რაიმე კეთდება, მხოლოდ სახელმწიფო თეატრებში ან მუზეუმებში.

მაგრამ მთავარი შემოქმედება ყოველთვის ქუჩაშია, ხალხშია და არა სახელმწიფო სტრუქტურებში, მიშა. შენ და კახაც რომ სახელმწიფო მოხელეები ყოფილიყავით, ვერასდროს ვერ შექმნიდით ისტერნს, ორჯერ ორი ოთხია.

იქნებ დაფიქრდე და კულტურის პოლიტიკას მიუდგე, როგორც ისტერნს? ინოვაციით, ახალი ხედვით, სპონსორობის კანონით, თანამედროვე ხედვით და არა მხოლოდ ბიუჯეტის ხარჯზე ვარსკვლავების ჩამოყვანით?

ამას მხოლოდ მე არ ვითხოვ, ეს დროის მოთხოვნაა, მიშა!

ძალიან მაგარი კაცია ახალი ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე, სულ რაღაც ინოვაციებზე ფიქრობს. დაელაპარაკე სპონსორობის კანონზე, მოამზადეთ წინადადება და გაუშვით პარლამენტში. მიიღეთ ეს კანონი და ამოასუნთქეთ ასობით მხატვარი, მოქანდაკე, მუსიკოსი, მოცეკვავე, მომღერალი, რომელთაც არ აქვთ ეს ოხერი ფული, რომ აკეთონ თავიანთი საქმე!

ეს იქნება ისტორიული მოვლენა და ყველანი ვნახავთ, როგორ გაცოცხლდება კულტურული ცხოვრება! ეს დრომ მოიტანა. დავიღალეთ ლოდინით. მიხედეთ საქმეს. დიდი მოკითხვა ოჯახს.

ზურა დოიჯაშვილი გულის შეტევით საავადმყოფოშია გადაყვანილი

მომღერალი ზურა დოიჯაშვილი გულის შეტევით საავადმყოფოშია გადაყვანილი. მის დასახმარებლად მეგობრები და რიგითი მსმენელები ერთიანდებიან. საქართველოს ბანკსა და თიბისი ბანკში მომღერლის დასახმარებლად მცირედი თანხის ჩარიცხვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ინფორმაცია მისმა მეგობარმა ნინო ჯღარკავამ გაავრცელა:

–არიან მომღერლები, რომლებიც არასდროს არავის აწუხებენ, არც ხმამაღლა შეუძლიათ თავიანთ გაჭირვებაზე წუწუნი, აქვთ ხალხის დიდი სიყვარული და გულში დიდი დარდი.

ასეთია ზურა დოიჯაშვილი – სახალხო მომღერალი, უყვარს ყველას დიდს, პატარას, მღერის ყველასთვის.

ზურა დღეს გულის შეტევით გადაიყვანეს კლინიკაში, ნერვიულობამ თავისი ქნა, ბინა, სადაც ცხოვრობდა სამი შვილით და მეუღლით, დაყადაღებულია, მუსიკით ვერ არჩინა ოჯახი...

დღეს, სანამ ცოცხალია, მანამ სჭირდება თანადგომა, თორემ მიცვალებულის დატირება კარგად შეგვიძლია, საოცრად თავმდაბალი და უკეთილშობილესი ადამიანია ზურა, არც იტყოდა თავის გაჭირვებას, შემთხვევით რომ არ გამეგო.

საქართველოს მოსახლეობას ვთხოვ, მათ, ვისაც ერთხელ მაინც მოგისმენიათ ზურას სიმღერა, ტაში დაგიკრავთ, გაგღიმებიათ, მოგწონებიათ, დავეხმაროთ ზურას, უმორჩილესად გთხოვთ ყველას, ბიზნესმენებს, ზურას კოლეგებს, უბრალო ადამიანებს, გადავარჩინოთ ზურა!

ლევილის ქართულ მამულში საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე აღინიშნება

16 ივნისს ლევილის ქართულ მამულში საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება. საღამოზე პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობისა და დამფუძნებელი საბჭოს წევრების, პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელთა საფლავებს ყვავილებით შეამკობენ.

საფრანგეთში მოქმედი ქართული დიასპორული ასოციაციები, ხელოვანები, ფოლკლორული ჯგუფები და ანსამბლები ერთობლივ კონცერტს ჩაატარებენ. კონცერტში მონაწილეობს მომღერალი ელგა ფორჩხიძეც, რომელიც სტუმრებს თავის ხელნაკეთ აქსესუარებს წარუდგენს.

ლევილის ქართულ მამულში საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასწრება თავისუფალია.

ზემო ბეთლემის ეკლესია საფრთხეშია

ძველი ბეთლემის ეკლესია საფრთხეშია. ეს ინფორმაცია „იკომოს საქართველომ“ გაავრცელა:

– „იკომოს საქართველო“ ეცადა მოეპოვებინა უფლება, დასწრებოდა თბილისის მერიის ე.წ. „გაერთიანებულ ისტორიულ საბჭოს“, რათა საბჭოსთვის წარედგინა ბეთლემის უბნის კვლევის ის მასალა, რომელიც ეხება ზემო ბეთლემის ეკლესიის არეალს. საბჭოზე დაიგეგმა ბეთლემის აღმართი №16 ა-ს მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის საკითხის განხილვა. ეს მიწის ნაკვეთი მდებარეობს ზემო ბეთლემის ეკლესიის ისტორიული საყრდენი კედლის გასწვრივ.

თბილისის მერიის ქონების მართვის სამსახურმა ერთხელ უკვე გაყიდა ამ მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია ისე, რომ არ გადაამოწმა, შეიძლებოდა თუ არა ამ ნაკვეთზე შენობის აგება და საფრთხის ქვეშ დააყენა თბილისის ისტორიული ნაწილის გამორჩეული არეალი. ახლაც ეჭვი გვაქვს, რომ შესაძლოა ახალი მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის დადგენისას მერიამ არ გაითვალისწინოს აქ ისტორიულად ჩამოყალიბებული ქუჩათა ქსელისა და საფეხმავლო კავშირების სისტემა და კვლავაც პრობლემა შეუქმნას ბეთლემის ისტორიული უბნის დაცვასა და შენარჩუნებას.

„იკომოს საქართველომ“ საბჭოს სხდომაზე დასწრება სცადა, როგორც დადგენილი პროცედურით, ელექტრონული განცხადებით, ისე სატელეფონო კომუნიკაციით შესაბამის სამსახურებთან, რაზეც სამწუხაროდ დადებითი პასუხი ვერ მიიღო.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ „ისტორიული საბჭოს“ ექსპერტ წევრებს არ გამოეპარებათ არსებულ გარემოებასთან დაკავშირებული სავარაუდო რისკები და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ. სხვა შემთხვევაში ისევ საჯაროდ საკითხის გამოტანა მოგვიწევს და ფართო საზოგადოების მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები



კარლო ვარდიაშვილის ტკივილიანი მოგონება

ჩემიო ძვირფასო, ერთადერთო ძმაო, კარლო, გავიდა ერთი მძიმე წელი, რაც დაგვტოვე და გადაინაცვლე სამუდამო სასუფეველში. 2017 წლის 15 აპრილს მოულოდნელად შეწყდა შენი გულისცემა, რამაც ძლიერ დაგვამწუხრა შენი ოჯახი და ჩვენ ყველა. დღესაც მდუღარე ცრემლებით შესცქერიან შენს სურათს შენი შვილები – თამუნა და მამუკა, შვილიშვილები სალომე და ანანო.

შენმა ნიჭიერებამ და შრომისმოყვარეობამ ბავშვობიდანვე იჩინა თავი – წარმატებით დაამთავრე საშუალო სკოლა, შემდეგ სოხუმის (კელასურის) სუბტროპიკული ინსტიტუტი მეღვინე ტექნოლოგის სპეციალობით, გაიარე ნაყოფიერი და წარმატებული შემოქმედებითი ცხოვრების გზა რიგითი მეღვინიდან გენერალურ დირექტორამდე.

სწორედ ახლა უნდა გაგეხარა შენს ბრწყინვალე ოჯახში, მაგრამ...

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი სული!

დამწუხრებული ძმა კაკო ვარდიაშვილი ოჯახთან ერთად

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

16 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.4628

ევრო — 2.9118

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3066

100 რუსული რუბლი — 3.9574

ამინდის პროგნოზი 16 ივნისისთვის

URUGVAIM BOLOS MOIGO

ეგვიპტე-ურუგვაი 0:1

ეკატერინბურგი. ცენტრალური

0:1 ხიმენესი (89)

ეგვიპტე: ელ შენავი, ფათი, გაბრი, ჰეგაცი, აბდელ-შაფი, ჰამედი (მორსი 50), ელნენი, ვარდა (სობჰი 82), ელსაიდი, ტრეზეგე, მოჰსენი (კარაბა 63)

ურუგვაი: მუსლერა, ვარელა, ხიმენესი, გოდინი, კასერესი, ნანდესი (სანჩესი 58), ვესინო (ტორეირა 88), ბენტანკური, დე არასკაეტა (როდრიგესი 59), კავანი, სუარესი

მსოფლიო ჩემპიონატის ა ჯგუფის მეორე მატჩში დაძაბული ბრძოლა ვნახეთ. ბოლო წუთებამდე არ იყო გადაწყვეტილი გამარჯვებულის ვინაობა და საბოლოოდ ოსკარ ტაბარესის შეგირდებმა იმარჯვეს.

მატჩის ერთადერთი გოლი 89-ე წუთზე მცველმა ხოსე ხიმენესმა გაიტანა. საერთოდაც, ურუგვაელი მცველები ჩინებულად გამოიყურებოდნენ. შეიძლება ითქვას, ტაბარესის გუნდმა მათ ხარჯზე მოიგო.

ურუგვაის არც შეტევით ხაზში აკლდა კვალიფიციური ფეხბურთელები, მაგრამ ხან თავდამსხმელები სცოდავდნენ, ხან ელ შანავი ირჯებოდა კარგად, ხანაც ეგვიპტეს ბედი სწყალობდა.

პირველ ტაიმში სულ ერთი ხიფათი შეიქმნა, როდესაც ლუის სუარესი ახლოდან დაუცველ კარში ურტყამდა, მაგრამ ააცილა.

სუარესს მეორე ტაიმშიც ჰქონდა 2 შანსი, მაგრამ ვერც ერთხელ მეკარეს ვერ აჯობა. ორჯერ შეეძლო გოლის გატანა ედინსონ კავანისაც, თუმცა, ჯერ მეკარემ აუღო, შემდეგ კი კავანიმ ხარიხა შეაზანზარა.

და მაინც, ურუგვაიმ იმარჯვა... ბოლო წუთზე და მცველის მიერ გატანილი გოლით.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ხოსე ხიმენესი

ხიმენესი საუკეთესო იყო თავის გუნდში დიეგო გოდინთან ერთად. დაცვაში შესანიშნავად ირჯებოდა, ბოლოს კი სულაც სამქულიანი გაისროლა.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

ანტუან გრიზმანი მადრიდის ატლეტიკოში რჩება

მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდმა ანტუან გრიზმანმა ოფიციალური განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ ის მადრიდის ატლეტიკოში რჩება და ბარსელონაში არ გადადის. გრიზმანის თქმით, მან ეს გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მიიღო და მის შეცვლას არ აპირებს.

– მე ბევრი ვიფიქრე, ჩემ ოჯახის წევრებსაც დაველაპარაკე და საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება რომ ატლეტიკოში ვრჩები, რადგან ამ გუნდში ბედნიერი ვარ. ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილებას უკვე აღარ შევცვლი, – განაცხადა ანტუან გრიზმანმა.

იუვენტუსი გოლოვინით დაინტერესდა

ტურინის იუვენტუსი მოსკოვის ცსკას ნახევარმცველით ალექსანდრ გოლოვინით დაინტერესდა, რომელიც ერთ-ერთ ნიჭიერ რუს ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება. გოლოვინი რუსეთის ნაკრების ლიდერია და საუდის არაბეთის წინააღმდეგ მან გოლის გატანა შეძლო და ორი საგოლე პასი გააკეთა.

იუვენტუსის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გოლოვინის ტრანსფერი რეალურია, თუმცა ჯერ მათ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ. თვითონ ფეხბურთელმა ასევე ისაუბრა ამ თემაზე და თქვა, რომ იუვენტუსი დიდებული გუნდია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– ქმარს უკვე უთხარი, ფეხმძიმედ რომ ხარ?

– ჰო...

– და ეს როგორ გააკეთე?

– ქაღალდისგან წერო დავამზადე, ფეხმძიმობის ტესტი ნისკარტში გავუკეთე და ტუალეტის კარზე მივამაგრე.

– მერე?

– ქმარმა მკითხა, ეს რა წერო იყო კარზე მიკრული და სიგარეტს რატომ ეწეოდაო.

●●●

გივის მეგობრები ეუბნებიან:

– რატომ ქორწინდები ასეთ შეუხედავ ქალზე?

– სამაგიეროდ, საწოლშია შეუდარებელი.

რამდენიმე თვის შემდეგ მეგობრები გივის ესტუმრნენ, ხედავენ მთლიანად ღონემიხდილია. ერთ-ერთი ეკითხება:

– რა დაგემართა?

– სისხლი გამიშრო თავისი სექსით. დღეში სამჯერ, ასევე დილით და ძილის წინ. მეტი აღარ შემიძლია!

– ბიჭო, ხომ გეუბნებოდით, შეუხედავ ქალზე ნუ ქორწინდებიო, აბა ახლა ვინ დაგეხმარება?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მახსოვს, სკოლის დროს როგორ ვკამათობდით გოგონებთან, თუ რა ჯობდა, ბიჭად ყოფნა თუ გოგოდ.

– მერე?

– გოგონებს საკუთარ არგუმენტად ის მოჰყავდათ, რომ ჩვენ, ბიჭებს, პირის გაპარსვა გვჭირდება, მათ კი არა! ეჰ, როგორი გულუბრყვილები იყვნენ...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გავიგე, ანონიმი ალკოჰოლიკების კლუბში დაგიწყია სიარული და როგორ არის საქმე?

– მესამე დღეა ვსვამ და არც კი ვიცი, ვისთან ერთად...

●●●

ფიტნესცენტრში უმშვენიერესი ქერათმიანი გოგონა შევიდა. ხანდაზმულმა ბანკირმა, რომელიც პირადი მწვრთნელის დახმარებით ზედმეტი კილოგრამების მოშორებას ცდილობდა, გოგონას თვალი გააყოლა და მწვრთნელს ჰკითხა:

– რას მირჩევ, ამ მოწყობილობებიდან რომლით ვისარგებლო იმისთვის, რომ იმ გოგონას ყურადღება მივიქციო?

– შენობის ჰოლში რომ ბანკომატია...

●●●

ქალაქიდან სოფელში პაპას შვილიშვილი ესტუმრა. მალე ბიჭმა მოიწყინა. პაპა ეუბნება:

– წაიყვანე ძაღლები, აიღე თოფი, წადი ტყეში და სროლით შეიქციე თავი.

შვილიშვილმა დაუჯერა და წავიდა. ერთ საათში აღფრთოვანებული უკან მობრუნდა და ეუბნება:

– პაპა, კიდევ გყავს ძაღლები?

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– ჩემთან ყოფნა რატომ არ გინდა?

– ჯერ უნდა დამიპყრო.

– და ომის გარეშე არ შეიძლება?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

„ბერლინელმა ბარბიმ" მკერდი ექსტრემალური მოცულობის სილიკონით გაივსო

27 წლის პერის ჰერმსმა, რომელიც უფრო მეტად „ნამდვილი ბერლინელი ბარბის" სახელითაა ცნობილი, მკერდში უზარმაზარი მოცულობის იმპლანტატი ჩაიდგა. ამჟამად მისი მკერდი ოთხ კილოგრამზე მეტს იწონის.

– როდესაც ნარკოზიდან გამოვედი, თავი ყველაზე ბედნიერად ვიგრძენი. ჩემი მიზანი არ ყოფილა ის რომ გერმანიაში ყველაზე დიდი მკერდის მფლობელად ვითვლებოდე. მე მომწონს დიდი მკერდი, ვინაიდან ის ქალურობას მმატებს, – განაცხადა ჰერმსმა.

პერისმა, საერთო ჯამში, გარეგნობის შეცვლაზე 50 ათასზე მეტი დოლარი დახარჯა. ეს ყველაფერი კი იმის შედეგი იყო, რომ სკოლის ასაკში მას დასცინოდნენ. ამჟამად ინსტაგრამში მის აკაუნტს 200 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

ჩინეთში მტრედისთავიანი თევზი დაიჭირეს

ჩინელმა მეთევზემ ქალაქ გუიანიდან ვიდეოზე გადაიღო მის მიერვე დაჭერილი მეტად უცნაური თევზი, რომელმაც გამვლელებიც დააინტერესა.

ვიდეოს კადრებში ჩანს, რომ მიწაზე დევს უცნაური თევზი, რომელსაც მტრედის თავი აქვს. გაოგნებულმა გამვლელებმა უცნაური არსებისთვის სმარტფონებით სურათების გადაღება დაიწყეს მანამდე, სანამ ის უწყლოდ სულს ღაფავდა.

თევზის ფორმის მიხედვით, ჩინელმა თეთრი ამური დაიჭირა, რომელიც მტკნარი წყლის კარპების ოჯახს განეკუთვნება, თუმცა მისი წარმომავლობის დაზუსტება უკვე შეუძლებელია, ვინაიდან მეთევზეს ის შეეცოდა და ისევ მდინარეში დააბრუნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დე ხეა მანჩესტერ იუნაიტედთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს

მანჩესტერ იუნაიტედის მეკარე დავიდ დე ხეა მალე თავის გუნდთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს, რომლის მიხედვითაც ის მანჩესტერში 2023 წლის ჩათვლით დარჩება.

დე ხეას ყიდვა თავის დროზე ბევრ კლუბს სურდა, მაგრამ მან ყველას უარი უთხრა და მანჩესტერში დარჩა.

როგორც ჩანს, ესპანელი მეკარე მანჩესტერს შეაბერდება, რადგან ის უკვე 29 წლის არის და ინგლისის დატოვებას არ აპირებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოხსვოხდი 2

შვეულად: 1. კატეგორიული, დაუინებითი მოთხოვნა; 2. იაპონური მოტოციკლეტი; 3. მხარე ბელგიაში; 4. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 5. გრამატიკის ნაწილი; 6. პროფესიონალი ცხენოსანი; 7. ქართული მინერალური წყალი; 9. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 13. ქალაქი ჰოლანდიაში, სადაც განთავსებულია სამეფო რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულებები; 17. ძვირფასი ლითონი; 18. ბარიტის საბადო რაჭაში.

თარაზულად: 1. ბრიტანეთის ნაწილი; 3. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 8. დაქირავებული კავალერი; 10. უცნაური, სასაცილო, სასეირო ამბავი, შემთხვევა; 11. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 12. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 14. პოლიგრაფიული საწარმო; 15. მდინარე კახეთში; 16. საკათედრო ტაძარი თბილისში; 19. დიდი შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი და მოტორიანი ნავებით; 20. ხეობაზე გაყვანილი ხიდი; 21. უძველესი ქართული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა